მსჯავრდებული, ბრალდებული და დაზარალებული ქალების სასამართლო მონიტორინგი

2018

- ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ და მსჯავრდებულ ქალთა სასამართლო მონიტორინგი და განაჩენთა ანალიზი
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო მონიტორინგი და განაჩენთა ანალიზი

ადამიანის უფლებათა ცენტრი
Human Rights Center (HRIDC)

მსჯავრდებული, ბრალდებული და დაზარალებული ქალების სასამართლო მონიტორინგი

- ✓ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო მონიტორინგი და განაჩენთა ანალიზი

- ✓ ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ და მსჯავრდებულ ქალთა სასამართლო მონიტორინგი და განაჩენთა ანალიზი

თბილისი, 2018

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა
ავტორები: ნინო აბაიშვილი, ლაზარე ჯიბლაძე
რედაქტორი: ალექსანდრე ცქიტიშვილი
თარგმანი: ნინო ტლაშაძე
ინგლისური ტექსტის რედაქტორი: კრისტიან გრზივატზ
კვლევაში მონაწილეობდნენ: თამარ ქურთაული, ირინე კასრაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივის უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალეობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელის წევრი:

- ადამიანის უფლებების საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი - SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი: 0160 თბილისი, აკ. გახოკიძის ქ. 11ᵃ, III-სართული
ტელ: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48
ფაქსი: (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი: www.humanrights.ge, www.hridc.org

მონიტორინგის ანგარიში მომზადდა ბულგარეთის განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემის ანგარიშზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და მასში გამოთქმული მოსაზრებებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ბულგარეთის განვითარების ფონდისა და ბულგარეთის რესპუბლიკის შეხედულებას.

სარჩევი

პროექტის შესახებ 4
კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა შეგროვების პროცესი..... 6
სტატისტიკის ანალიზი 8
თავი I: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში მიმდინარე სასამართლო სხდომათა მონიტორინგი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენების ანალიზი, სადაც დაზარალებულს ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლი ქალი წარმოადგენდა.....15
მონიტორინგის შედეგების ზოგადი ანალიზი 41
რეკომენდაციები 45
თავი II: ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ქალების მიმდინარე სასამართლო სხდომების მონიტორინგი და ამავე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულ ქალთა მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენების ანალიზი, შეფარდებული/გამოყენებული სასჯელის სახისა და ზომის ნაწილში.....47
მონიტორინგის შედეგების ზოგადი ანალიზი 61
რეკომენდაციები 62
დანართი 63

პროექტის შესახებ

2017 წლის 15 დეკემბრიდან 2018 წლის 15 ივნისამდე, ადამიანის უფლებათა ცენტრმა (HRC) ბულგარეთის განვითარების ფონდის და საქართველოში ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი „სასამართლო მონიტორინგი ქალებისათვის“, რომლის მიზანი გახლდათ ქალთა მიმართ ძალადობის შედეგად დაზარალებულ და ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ და მსჯავრდებულ ქალთა საქმეებზე სასამართლო პროცესების გამჭვირვალობის ხელშეწყობა, სასამართლო და პროკურატურის ორგანოების პასუხისმგებლობის გაზრდა.

პროექტი ითვალისწინებდა შემდეგ ამოცანებს: გამოვლენას, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი სამართალწარმოების პროცესში დაზარალებული, ბრალდებული და მსჯავრდებული ქალების მიმართ სამართლიანი სასამართლოს პრინციპები, როგორიცაა: შეჯიბრებითობის პრინციპი, მხარეთა თანასწორობა, უფლება დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე, დაცვის უფლება, სასამართლო შტოს დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სხვა; ასევე - ცნობიერების ამაღლება და იმ ხარვეზების იდენტიფიცირება, რაც დაბრკოლებას წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის მხრივ, იმ საქმეებში, სადაც ქალები არიან დაზარალებულები, ბრალდებულები და მსჯავრდებულები.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრა 2 სამიზნე ჯგუფის მიმართულებით მუშაობა:

- **თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში მიმდინარე სასამართლო სხდომათა მონიტორინგი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენების ანალიზი, სადაც დაზარალებულ მხარეს ძალადობივი დანაშაულის მსხვერპლი ქალები წარმოადგენდნენ;**
- **ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ ქალთა მიმდინარე სასამართლო სხდომების მონიტორინგი და ამავე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულ ქალთა მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენების ანალიზი, შეფარდებული სასჯელის სახისა და ზომის ნაწილში.**

პირველი სამიზნე ჯგუფის მიმართულებით მონიტორინგს დაექვემდებარა ქალთა მიმართ ჩადენილი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი ძალადობრივი დანაშაულები:

- **დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ;**
- **ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის შესახებ დანაშაული;**

- **დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ;**
- **დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ;**
- **სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები;**

ხოლო მეორე სამიზნე ჯგუფის მიმართულებით, მონიტორინგი განხორციელდა:

- **სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავით გათვალისწინებული ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ ან/და მსჯავრდებულ ქალთა მიმდინარე სასამართლო პროცესებზე და ძალაში შესულ გამამტყუნებელ განაჩენებზე.**

2018 წლის 10 იანვრიდან 10 მაისამდე პერიოდში, სასამართლო მონიტორინგის კომპონენტის განხორციელებისას, ზემოაღნიშნული დანაშაულის კატეგორიებიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მიერ განხილული საქმეები, ძირითადად, ეხებოდა ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კატეგორიას, კერძოდ - ოჯახში ძალადობის კვალიფიკაციის საქმეებს. დაფიქსირდა ერთეულ საქმეთა განხილვა, ქალთა მიმართ ძალადობის, ნარკოტიკული დანაშაულის, ტრეფიკინგისა და გაუპატიურიების კვალიფიკაციით. ტრეფიკინგისა და გაუპატიურების კვალიფიკაციით მიმდინარე საქმეთა განხილვაზე დასწრება და მონიტორინგის განხორციელება, პროცესების დახურულ რეჟიმში მიმდინარეობის გამო ვერ მოხერხდა.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლო მონიტორინგის კომპონენტის განხორციელებისას, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი/მონიტორები დააკვირდნენ 88 სისხლის სამართლის საქმის სასამართლო პროცესის სხდომებს და ასევე, პროექტის მიზნებიდან გამომდინარე შეისწავლეს კანონიერ ძალაში შესული 150 სასამართლო განაჩენი.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული სასამართლო მონიტორინგისა და განაჩენების შესწავლის შედეგად მიღებული და გაანალიზებული ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე მონიტორინგის შესაბამის ქვეთავებში.

კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა შეგროვების პროცესი

მონიტორინგის ანგარიში მიზნად ისახავს, გამოავლინოს, რამდენად არის უზრუნველყოფილი სისხლის სამართლის სამართალწარმოების პროცესში დაზარალებული, ბრალდებული და მსჯავრდებული ქალების მიმართ სამართლიანი სასამართლოს პრინციპების განხორციელება და ამ მიმართულებით მოახდინოს იმ ერთეული თუ სისტემური ხარვეზების იდენტიფიცირება, რომლებიც დაბრკოლებას წარმოადგენენ ძალადობის მსხვერპლთა და ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ და მსჯავრდებულ ქალთათვის, სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის მხრივ.

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიშის შემუშავებისას გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები:

- თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სისხლის სამართლის სასამართლო სხდომებზე დასწრება/დაკვირვება;
- სასამართლო სხდომის შეფასება, სასამართლო მონიტორინგისათვის სპეციალურად შემუშავებული ფორმების მეშობით;
- კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენების გამოთხოვა და ანალიზი;
- პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა, ორგანიზაციების წარმოებაში არსებულ ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე;
- კვლევის მიზნებისათვის, სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვა და ანალიზი;
- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან და მისი ანალიზი.

<u>თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართული სისხლის სამართლის სასამართლო სხდომებზე დასწრება/დაკვირვება:</u>

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები, მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სამუშაო გრაფიკის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოში ყოველდღიურად ესწრებოდნენ სისხლის სამართლის სასამართლო სხდომებს, რომელთა შინაარსი რელევანტური გახლდათ

პროექტის მიზნებისათვის. სასამართლო პროცესზე განსახილველ საქმეთა კვალიფიკაციისა და ბრალდებულისა და დაზარალებულის შესახებ ინფორმაციას მონიტორები იღებდნენ თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებული საინფორმაციო ტაბლოდან და სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციიდან. სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო სხდომებზე დასწრებისა და მათზე დაკვირვების შემდგომ, მონიტორები თითოეულ პროცესთან დაკავშირებით ავსებდნენ მონიტორინგის ანგარიშის სპეციალურ ფორმებს.

<u>სასამართლო სხდომის შეფასება სპეციალურად შემუშავებული ფორმების მეშვეობით:</u>

მონიტორებისთვის შემუშავდა სასამართლო სხდომის მონიტორინგის შეფასების 2 სპეციალური ფორმა: წინასასამართლო სხდომისა და მთავარი სასამართლო სხდომის შეფასების ფორმა. ფორმები მომზადდა სასამართლო მონიტორინგის მიზნებისათვის და შეიცავდა როგორც „დახურულ“, ისე „ღია“ კითხვებს. სასამართლო სხდომის შეფასების ფორმები, სასამართლო სხდომის სტადიის შესაბამისად, შეიცავდა კითხვებს სასამართლოს, ბრალდების, დაზარალებულის, ბრალდებულისა და დაცვის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა განხორციელების შესახებ. შესაბამისად, სასამართლო მონიტორინგის კომპონენტის შესახებ ანგარიში სრულად ეფუძნება სასამართლო სხდომების დაკვირვების ანგარიშებს. ამ გზით შეგროვდა ობიექტური, მნიშვნელოვანი, გაზომვადი ინფორმაცია და მნიშვნელოვან ფაქტთა იდენტიფიცირების შესაძლებლობა.

<u>კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენების გამოთხოვა და ანალიზი:</u>

მონიტორინგის მიზნებისათვის, თბილისის საქალაქო და რაიონული სასამართლოებიდან მიღებულ სტატისტიკაზე დაყრდნობით, გამოთხოვილ იქნა კანონიერ ძალაში შესული განაჩენების ასლები. განაჩენების ანალიზი განხორციელდა განაჩენში მოცემულ სხვადასხვა სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებზე და ასევე, ძალადობრივ დანაშაულებთან მიმართებით - განაჩენთა დასაბუთებისა და ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით, როგორც განაჩენთა დასაბუთების, ისე გამოყენებული სასჯელის სახისა და ზომის ნაწილში.

<u>პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა მათ წარმოებაში არსებულ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმდინარე საქმეებზე:</u>

პროექტის მიმდინარეობისას მონიტორები შეხვდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრისა და პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების - კავშირ „საფარის“, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“, „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ ადვოკატებს. პრაქტიკოსმა ადვოკატებმა პროექტის ფარგლებში მომუშავე მონიტორებს გაუზიარეს ინფორმაცია მათ წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებისა და გამოძიების სტადიაზე არსებულ/დაფიქსირებულ ერთეულ თუ სისტემურ ხარვეზებთან დაკავშირებით.

<u>საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა და მისი ანალიზი:</u>

მონიტორინგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა რელევანტური დაწესებულებებიდან. ადამიანის უფლებათა ცენტრმა საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინფის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდიდან, საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი ცენტრიდან „112“, საქართველოს უზენაესი სასამართლოდან და საერთო სასამართლოების სისტემიდან.

სტატისტიკის ანალიზი

დღეს ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო მექანიზმების არსებობის, მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების გაძლიერებისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ პრობლემად რჩება ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის დანაშაულთა რიცხვი. პრობლემურია საზოგადოების დამოკიდებულებაც, რაც ხშირად, ძალადობრივი ქცევის გამართლებაში გამოიხატება. 2018 წლის 6 მარტს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული „ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის“ შედეგების[1] მიხედვით, **„ქალებსა და კაცებს ურთიერთობებში ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით მაღალი მიმღებლობა აქვთ. ამასთან, ისინი სქესისა და სექსუალური ძალადობის შესახებ გაუმართლებელ შეხედულებებს ავლენენ. გამოკითხულთა შორის ქალების თითქმის ერთ მეოთხედსა (22%) და კაცების ერთ მესამედს (31%) მიაჩნია, რომ გარკვეულ გარემოებებში ცოლის**

[1] ინფორმაცია „საქსტატის“ კვლევის თაობაზე იხ. ბმულზე: http://www.geostat.ge/?action=news&lang=geo&npid=1264

ცემა გამართლებულია. უფრო მეტიც, ქალების თითქმის ერთ მეოთხედსა (23%) და კაცების თითქმის ნახევარს (42%) სჯერა, რომ ცოლი ქმარს მაშინაც კი უნდა დაემორჩილოს, როცა ის მას არ ეთანხმება"[2].

შემაშფოთებელია ქვეყანაში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულის სტატისტიკური მაჩვენებლები.

სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზისათვის, ცენტრმა მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია - 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 თებერვლამდე, ძალადობრივი დანაშაულების რეგისტრირებული და გახსნილი მაჩვენებლების შესახებ, სადაც დაზარალებულს ქალი წარმოადგენდა. უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღმოჩნდა, რომ სამინისტრო გენდერული ნიშნის მიხედვით არ აწარმოებს სტატისტიკის ანალიზს, რითაც შესაძლებელი იქნებოდა დადგენა, თუ რამდენი ქალია დაზარალებული რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულის საერთო რიცხვიდან. მაგალითისთვის, სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წელს, სსკ-ის 126[1]-მუხლის[3] კვალიფიკაციით რეგისტრირებულია 2143 დანაშაულის ფაქტი და გახსნილია 1554 საქმე. მოცემული ინფორმაციიდან გაურკვეველია დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა რიცხვი და მათი გენდერული ნიშნით იდენტობა. იგივე შეიძლება ითქვას ნარკოტიკული დანაშაულის რეგისტრირებული 2636 ფაქტიდან გახსნილ 2330 საქმესთან მიმართებითაც, სადაც დანაშაულის ჩამდენთა გენდერული ნიშნით იდენტიფიცირება არ ხერხდება.

იმავე პერიოდზე, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, ძალადობრივი დანაშაულებიდან რამდენ სისხლის სამართლის საქმეზე გასწიეს საპროკურორო ზედამხედველობა და განახორციელეს სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა სასამართლოში, სადაც დაზარალებულს ქალი წარმოადგენდა. პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 იანვრამდე მდგომარეობით, ძალადობრივი დანაშაულის შედეგად სულ: 2,438 ქალი დაზარალებულია, აქედან:

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში:	
სსკ-ის 108 მუხლით	5 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 109 მუხლით	8 დაზარალებული ქალი

[2] http://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2018/03/one-in-seven-women-in-georgia-experiences-domestic-violence-new-national-study-finds

[3] „ოჯახში ძალადობის შესახებ"

სსკ-ის 115 მუხლით	3 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 116 მუხლით	1 დაზარალებული ქალი
დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ:	
სსკ-ის 117 მუხლით	4 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 118 მუხლით	17 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 120-დან 126 მუხლამდე ერთობლივად	494 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 126^1 მუხლით	1514 დაზარალებული ქალი
დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ:	
სსკ-ის 137 მუხლით	14 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 138-დან 141-მდე მუხლებით ერთობლივად	6-დაზარალებული ქალი
დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ:	
სსკ-ის 143 მუხლით	33 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 143^1-დან 143^3- მუხლადმდე ერთობლივად	8 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 144-144^2 მუხლებით	2 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 150 მუხლით	9 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 151^1 მუხლით	8 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 156-დან 159-მდე მუხლებით ერთობლივად	17 დაზარალებული ქალი
ოჯახური დანაშაულის კვალიფიკაციით:	
სსკ-ის 11^1-108 მუხლით	9 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 11^1 -109 მუხლით	3 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 11^1-115 მუხლით	4 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 11^1-117 მუხლით	6 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 11^1 -118 მუხლით	12 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 11^1 -120 მუხლით	39 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 11^1-126 მუხლით	31 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 11^1-150 მუხლით	10 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 11^1-151 მუხლით	171 დაზარალებული ქალი
სსკ-ის 11^1-151^1 მუხლით	4 დაზარალებული ქალი

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებულ სტატისტიკურ ინფორმაციაში არ ფიქსირდება მონაცემები სსკ-ის მე-19 მუხლზე მითითებით, რაც დანაშაულის მცდელობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-ის მიერ მოწოდებული ინფორმაცია

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, ასევე, მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-ის სამსახურს და გამოითხოვა ინფორმაცია 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 თებერვლამდე, ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულზე რეაგირებისათვის „112“-ში განხორციელებული სატელეფონო ზარის რაოდენობის შესახებ და ზარის განმახორციელებლების შესახებ (ზარის განმახორციელებელი იყო თავად მსხვერპლი თუ სხვა პირი). საპასუხოდ, *„112“-ისაგან მიღებული ინფორმაციით, „ოჯახში ძალადობის/კონფლიქტების შესახებ „112“-ში რეაგირებისათვის შესული მონაცემები არ შეიძლება გაიგივდეს ოჯახში ძალადობის რეალური შემთხვევების რაოდენობასთან, რადგან „112“ არის ინფორმაციის პირველადი დამმუშავებელი. ინციდენტის ტიპის მინიჭების მიზანია არა შეტყობინების ზუსტი შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენა საკანონმდებლო დისპოზიციასთან მიმართებით, არამედ შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისთვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის სწორად განსაზღვრა“.* ასევე, წერილში აღნიშულია, რომ *„ინციდენტის ზუსტი კვალიფიკაცია ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირებაზე უფლებამოსილი დანაყოფების მიერ გამოძახების მისამართზე გამოცხადების შემდეგ“.*

„112“-ის მიერ ოჯახში ძალადობის შეტყობინებების აღრიცხვის საკითხი შეფასებულია სახალხო დამცველს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის“ შესახებ მონიტორინგის ანგარიშში, სადაც აღნიშნულია, რომ *„სსიპ „112“-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში ოჯახში ძალადობის/კონფლიქტის შესახებ მიღებული შეტყობინებები აღირიცხება, მაგრამ აღნიშნული მონაცემები დეტალურად არ ანალიზდება“*[4].

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ „112“-ში რეაგირებისათვის განხორციელებულ შეტყობინებათა დამუშავებას და ანალიზს, ამის თაობაზე 2018 წლის დასაწყისში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოუწოდა, „ჩატარდეს შესაძლო ოჯახში ძალადობის და ოჯახური კონფლიქტის შესახებ სსიპ „112“-ის სამსახურში მიღებული შეტყობინებების ანალიზი“[5].

---

[4] http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5042.pdf გვ:24

[5]http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/saxalxo-dsaxalxo-damcvelma-ojaxsi-zaladobis-saqmeebze-araefeqturi-reagirebis-gamo-rekomendaciit-mimarta-

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, სახალხო დამცველის რეკომენდაცია გონივრულია და მისი განხორციელება არ მოითხოვს შსს-ს მხრიდან განსაკუთრებულ ძალისხმევას, რადგან ძალადობის ფაქტზე ინფორმაციის მიმღები („112“), ფაქტის დამფიქსირებელი და რეაგირების მომხდენი (საპატრულო თუ კრიმინალური პოლიცია) ორივე სამსახური (ორგანო) შსს-ს სტრუქტურის ნაწილია და შესაბამისი ინფორმაციის მიღება, გადამოწმება და დამუშავება არ უნდა წარმოადგენდეს განსაკუთრებულ სირთულეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქალაქო და რაიონული სასამართლოებიდან მიღებული სტატისტიკური ინფორმაცია

2018 წელს ადამიანის უფლებათა ცენტრმა მიმართა უზენაეს სასამართლოს და გამოითხოვა ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობრივი დანაშაულის შედეგად დამდგარი განაჩენებისა და ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებული ქალების მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის წერილში ხაზგასმულად იყო მითითება, რომ კვლევისათვის რელევანტურ ინფორმაციას წარმოადგენდა, ერთი მხრივ, ძალადობრივი დანაშაულის შედეგად დამდგარ იმ განაჩენთა რიცხვი, სადაც ქალი დაზარალებული ფიქსირდებოდა და მეორე მხრივ, ნარკოტიკული დანაშაულის შედეგად მსჯავრდებულ ქალთა მიმართ დამდგარი განაჩენები. საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მიღებულ პასუხში ვკითხულობთ: *„სასამართლო სტატისტიკაში დაზარალებული ქალების აღრიცხვა სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებში დაწყებულია 2018 წლის იანვრიდან. 2017 წლის მონაცემებში დაზარალებული ქალების აღრიცხვა წარმოებდა მხოლოდ სსკ-ის ზოგიერთი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე. შესაბამისად გეგ ზავნებათ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია საქართველოს რაიონულ/საქალაქო სასამართლოებში განაჩენების გამოტანით განხილულ სისხლის სამართლის საქმეებში დაზარალებული ქალებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის შესახებ თქვენს მიერ მოთხოვნილი დანაშაულის კატეგორიების შესაბამისად“.* წერილს თან ერთვოდა „მონაცემები საქართველოს საქალაქო/რაიონული სასამართლოების მიერ 2017 წელსა და 2018 წლის იანვარში განაჩენის გამოტანით განხილული საქმეების შესაბამისად დაზარალებული და ბრალდებული ქალების რაოდენობის

sinagan-saqmeta-saministrosamcvelma-odjaxshi-dzaladobis-saqmeebze-araefeqturi-reagirebis-gamo-rekomendaciit-mimarta-shinagan-saqmeta-saministros.page

შესახებ“, რომლის თანახმად, გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაცია მოიცავდა 279 განაჩენს.

ზემოაღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ცენტრმა უზენაესი სასამართლოდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმართა საერთო სასამართლოების სისტემის 26 რაიონულ და საქალაქო სასამართლოს და გამოითხოვა: 1. ძალადობრივ დანაშაულთა შესახებ კანონიერ ძალაში შესული განაჩენების დაშტრიხული ასლების გადმოცემა, შესაბამისი რაოდენობრივი მაჩვენებლის მითითებით, სადაც დაზარალებულს ქალი წარმოადგენდა; 2. ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის დაშტრიხული ასლები, შესაბამისი რაოდენობრივი მაჩვენებლის მითითებით, სადაც მსჯავრდებულს ქალი წარმოადგენდა[6].

ცენტრის მიერ ზემოაღნიშნული საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად აღმოჩნდა, რომ 26 რაიონული/საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი ინფორმაცია შეადგენდა არა უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის ჯამს - 279 განაჩენს, არამედ 700-მდე განაჩენს. მაგალითისათვის: უზენაესი სასამართლოს 2018 წლის მონაცემებით, სსკ-ის 126[1]-მუხლთან მიმართებით დამდგარი განაჩენების ჯამს წარმოადგენდა 111 განაჩენი, მაშინ როცა, იმავე მუხლთან და იმავე პერიოდზე მითითებით, რაიონული/საქალაქო სასამართლოებიდან მიღებული განაჩენების საერთო რაოდენობა 300 განაჩენს აღემატებოდა.

ეჭვქვეშ შეიძლება დადგეს თავად პირველი ინსტანციიდან გამოთხოვილი გამამტყუნებელი განაჩენის აღრიცხვის სტატისტიკის მეთოდოლოგიაც, რადგან, შესაძლოა, იმავე განაჩენზე არსებობდეს ზემდგომი ინსტანციის მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი, რომელიც თავისთავად აბათილებს პირველი ინსტანციის მიერ „გამამტყუნებელი განაჩენის“ სტატუსით მოწოდებულ ინფორმაციას.

სწორედ აღნიშნული საკითხების გადასამოწმებლად და ინფორმაციის დასაზუსტებლად მივმართეთ თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებს და გამოვითხოვეთ ინფორმაცია 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 თებერვლამდე მდგომარეობით, რამდენი გამამტყუნებელი განაჩენი გასაჩივრდა, როგორც ძალადობრივი დანაშაულის, ისე ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ „2018 წლის 01 იანვრამდე ქუთაისის სააპელაციო სასამართლო გენდერული ნიშნით დაზარალებულთა აღრიცხვას არ აწარმოებდა“. ეს კი ნიშნავს, რომ დღეის მდგომარეობით, შეუძლებელია,

[6] http://hcoj.gov.ge/ge/common-courts/organization-charter/raionuli-saqalaqo-sasamartlo

დაზუსტდეს ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის მიწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია, 2017 წელს რაიონული/საქალაქო სასამართლოების მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენების სტატუსის შესახებ, მისი საკასაციო/სააპელაციო სასამართლოებში გასაჩივრების ალბათობიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ სასამართლოს პირველი ინსტანციიდან მიღებული სტატისტიკური თუ სხვა სახის ინფორმაცია არ შედარდა სააპელაციო/საკასაციო ინსტანციებში არსებულ ინფორმაციასთან, უტყუარი, სანდო და რელევანტური ინფორმაციის მიღება შეუძლებელი ხდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობაზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი სახელმწიფოს ვალდებულებაა, რაც მას სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით აკისრია[7].

[7] „ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შინაარსობრივი ანალიზი, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ძალადობის აღკვეთისა და აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული ზომების შეფასება“.
გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები, ზოგადი რეკომენდაცია N19(ქალთა მიმართ ძალადობა), გვ.20.
„მხარს დაუჭერენ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალ ყველა ფორმის ძალადობასთან დაკავშირებულ კვლევას, რათა შესწავლილ იქნეს მათი გამომწვევი ძირითადი მიზეზები და შედეგები, შემთხვევათა რაოდენობა და გამამტყუნებელი განაჩენის წილობრივი მაჩვენებელი, ასევე, ამ კონვენციის განსახორციელებლად მიღებული ზომების ეფექტურობა“.
„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია;

თავი I: თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში მიმდინარე სასამართლო სხდომათა მონიტორინგი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენების ანალიზი, სადაც დაზარალებულს ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლი ქალი წარმოადგენდა

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს სასამართლო მონიტორინგი წარმოადგენდა, რომლის მთავარი მიზანი სისხლის სამართლის სამართალწარმოების პროცესში მსხვერპლი/დაზარალებული ქალების მიმართ სამართლიანი სასამართლოს პრინციპების განხორციელებაზე დაკვირვება გახლდათ. სამართლიანი სასამართლოს პრინციპები მოიცავს: შეჯიბრებითობის, მხარეთა თანასწორობის, დაცვის უფლების, დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებისა და სასამართლო შტოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს.

თავად სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დაცვა უზრუნველყოფილი და გარანტირებულია, როგორც ქვეყნის კონსტიტუციით, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. თავის მხრივ, ეს საფუძველია იმისა, რომ სამართალწარმოების პროცესი მიმდინარეობდეს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრონციპით, რაც მოიცავს თანაბარ შესაძლებლობებს საქმეში მონაწილე მხრეებისათვის.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესებს პროცესში ბრალდების მხარე იცავს, ხოლო დაცვის მხარედ ბრალდებული და მისი ადვოკატი გვევლინება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზარალებული მოკლებულია შესაძლებლობას, თავად გამოვიდეს სასამართლო პროცესის მონაწილედ/მხარედ. დაზარალებულის და მისი ინტერესების დამცველად ბრალდების მხარე გვევლინება და მასზე სრულად არის დამოკიდებული დაზარალებულის ინტერესების სრულფასოვანი და ადეკვატური დაცვა. იქამდე კი, ბრალდების მხარის მიერ გასატარებელ ღონისძიებათაგან მნიშვნელოვანია: ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით დანაშაულის ფაქტზე დროული რეაგირება; ეფექტიანი გამოძიების წარმოება; დანაშაულებრივი ფაქტების სწორი კვალიფიკაცია და ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობის შეგროვება და რაც მთავარია, აღნიშნულ პროცესში აუცილებელია დაზარალებულთა ნდობის მოპოვება. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმის წაროებაში

გამოძიების სტადია არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საკვანძო ეტაპი, სისხლის სამართლის პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვანია თავად სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის ეტაპი და შესაბამისი შედეგები.

2018 წლის 10 იანვრიდან - 2018 წლის 10 მაისის ჩათვლით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა განახორციელა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და ნარკოტიკული დანაშაულის კვალიფიკაციით მიმდინარე სასამართლო სხდომათა მონიტორინგი. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დასაკვირვებლ სასამართლო სხდომათა შერჩევის კრიტერიუმს მხოლოდ ქალი დაზარალებულისა და ბრალდებულის ფაქტორი განსაზღვრავდა.

ზემოაღნიშნულ სასამართლო სხდომათა დაკვირვების კრიტერიუმიდან გამომდინარე, ცენტრის მონიტორები დააკვირდნენ 88 სისხლის სამართლის საქმეს, რომელთა კვალიფიკაცია შემდეგი გახლდათ:



88 სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას, მონიტორები დაესწრნენ 141 სასამართლო სხდომას.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში არსებულ სტადიათაგან, მონიტორები დაესწრნენ:



მონიტორების მიერ 141 სასამართლო სხდომათა დაკვირვების შედეგად წარმოდგენილი ანგარიშებიდან, სასამართლო სხდომის მონაწილეთა (მოსამართლე, ბრალდების მხარე, ბრალდებული/დაცვის მხარე) შესახებ მიღებული ინფორმაციის თანახმად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო, წინასასამართლო და არსებითი სასამართლო სხდომის განმხილველ 40 მოსამართლეთაგან, ძირითადად 22 მოსამართლე განიხილავდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეებს. 22 საქმის განმხილველი მოსამართლიდან: 13 - ქალი და 9 მამაკაცი მოსამართლე დაფიქსირდა;
- დაკვირვებულ სასამართლო სხდომებში, ბრალდების მხარეს წარმოადგენდა 47 პროკურორი, როგორც მთავარი პროკურატურის, ისე თბილისისა და თბილისის რაიონული პროკურატურიდან. 47 პროკურორიდან: 22 - ქალი და 25 მამაკაცი პროკურორი გახლდათ.
- 88 განხილულ საქმეში, 70 ბრალდებულის ინტერესებს იცავდა კერძო ადვოკატი; 7 საქმეზე ბრალდებულს იცავდა იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი; 11 ბრალდებული არ სარგებლობდა დამცველის მომსახურებით და თავად იცავდა საკუთარ ინტერესებს.

უნდა აღინიშნოს, რომ დაკვირვებული 88 საქმიდან, არც ერთი საქმის განხილვისას არ დამდგარა სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეთა აცილების ან თვითაცილების შუამდგომლობა.

საპროცესო შეთანხმების გაფორმების საკითხზე მოლაპარაკების წარმოებასთან დაკავშირებით, მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ 88 საქმიდან მხოლოდ 5 ბრალდებულის მიმართ გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, საიდანაც 4 ბრალდებულს ბრალი ედებოდა ნარკოტიკული

დანაშაულის ჩადენაში, ხოლო 1 ბრალდებულს ოჯახში ძალადობის დანაშაულში.

მონიტორინგის შედეგები ოჯახში ძალადობის სასამართლო სხდომათა დაკვირვების შესახებ:

სასამართლო სხდომათა მონიტორინგის შედეგად, ცენტრის მონიტორები დააკვირდნენ ოჯახში ძალადობის კვალიფიკაციით მიმდინარე 81 საქმეს, რომელთა შესახებ წარმოებული ანგარიშებიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ოჯახში ძალადობის საქმეთა განხილვისას დაფიქსირდა ძალადობის შემდეგი ფორმები:



ოჯახში ძალადობის საქმეთა 81 საქმეში ძალადობის შედეგად დაზარალებულებს წარმოადგენდნენ:

35 შემთხვევაში:	მეუღლე
17 შემთხვევაში:	ყოფილი მეუღლე
2 შემთხვევაში:	ორსული მეუღლე
7 შემთხვევაში:	მეუღლე და შვილი/შვილები
6 შემთხვევაში:	შვილი
5 შემთხვევაში:	ყოფილი მეუღლე და შვილი/ები
2 შემთხვევაში:	ყოფილი მეუღლე და მისი ქმარი
1 შემთხვევაში:	მეუღლე და რძალი
2 შემთხვევაში:	მშობლები
2 შემთხვევაში:	ბებია
2 შემთხვევაში:	და

მონიტორინგის შედეგებით, 81-საქმეში არსებული ბრალდებულის განათლების შესახებ ინფორმაცია შემდეგია:



ინფორმაცია 81 ბრალდებულის ნასამართლეობის შესახებ:



დაზარალებულისა და ბრალდებულის თანაცხოვრების შესახებ ინფორმაცია:



სასამართლო სხდომათა მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის დროს, ბრალდებულები იმყოფებოდნენ სხვადასხვა ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ:



სასამართლო მონიტორინგის განხორციელების დროს, გარდა დაზარალებულისა და ბრალდებულის მახასიათებლებისა, გამოიკვეთა მონაცემები ძალადობრივ გარემოში მცხოვრებ ბავშვთა რაოდენობას შესახებ, რომლის თანახმად, 81 ოჯახში ძალადობის საქმის განხილვისას, ამავე ოჯახებში მცხოვრები 101 და მეტი ბავშვი გახლდათ ძალადობის ფაქტის შემსწრე.

რაც შეეხება სასამართლო სხდომათა მონიტორინგის დროს დაფიქსირებულ სხვა მნიშვნელოვან მონაცემებს. მონიტორინგის ანგარიშების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ დაზარალებულები, ძირითად შემთხვევაში, არ ესწრებიან სასამართლო სხდომათა განხილვებს. მონიტორთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 135 სასამართლო სხდომიდან, 14 სასამართლო სხდომას დაზარალებული ესწრებოდა; 35 სასამართლო სხდომას დაზარალებული არ ესწრებოდა, რადგან დასაკითხი პირი გახლდათ; 54-სასამართლო სხდომას დაზარალებული არ ესწრებოდა; ხოლო 32 სასამართლო სხდომაზე დაზარალებულის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულები, ბრალდებულთან ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვისა და გამწვავების გამო, თავს იკავებენ სასამართლო პროცესებზე დასწრებისაგან.

საწინააღმდეგო მონაცემი ფიქსირდება სასამართლო სხდომებზე ბრალდებულის დასწრების შესახებ, რომლის თანახმადაც, ბრალდებულები თითქმის ყოველთვის ესწრებიან სასამართლო სხდომათა განხილვებს.

სასამართლო სხდომათა განხილვისას, მოსამართლეები ბრალდებულებს სრულყოფილად უმარტავდნენ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს. რიგ შემთხვევებში, მოსამართლეები ახდენდნენ დეტალურ განმარტებას და ბრალდებულებს სთხოვდნენ დადასტურებას, ნამდვილად გასაგები იყო თუ არა მათთვის შესაბამისი განმარტებების შინაარსი. ეს უკანასკნელი მიდგომა განსაკუთრებით მაშინ ფიქსირდებოდა, როდესაც ბრალდებული სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი არ გახლდათ დამცველის მეშვეობით და თავისი ინტერესების დაცვას თვითონ ცდილობდა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, ბრალდებულთათვის რამდენად გასაგებია წარდგენილი ბრალის შინაარსი. მონიტორების ანგარიშების თანახმად, 81 ბრალდებულიდან 69 მოსამართლის წინაშე ადასტურებდა, რომ ბრალის შინაარსი მისთვის გასაგები იყო; 7 ბრალდებული აცხადებდა, რომ ბრალის შინაარსი მისთვის გაუგებარი იყო; ხოლო 5 ბრალდებულის პოზიცია უცნობია

ბრალის შინაარსის სწორად აღქმის შემდგომ მნიშვნელოვანი გაგრძელებაა - ცნობს თუ არა ბრალდებული თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით, 47 შემთხვევაში ბრალდებული თავს

დამნაშავედ ცნობდა; 19 შემთხვევაში თავს დამნაშავედ არ ცნობდა; 8 შემთხვევაში ნაწილობრივ ცნობდა თავს დამნაშავედ; 1 ბრალდებული იყენებდა დუმილის უფლებას; ხოლო 6 ბრალდებულის პოზიცია უცნობია.

სასამართლო მონიტორინგის კვლევის ნაწილში გაანალიზდა ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების საკითხი. შედეგად, ირკვევა, რომ 81 სისხლის სამართლის საქმიდან 66 ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა, ხოლო 15 ბრალდებულის მიმართ გამოყენებულია არასაპატიმრო თავისუფლების აღკვეთა - გირაო.

81 საქმიდან, დაცვის მხარემ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ შუამდგომლობა დააყენა 37 შემთხვევაში. 3 საქმეში თავად ბრალდებულმა დააყენა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის შეცვლის შესახებ და 5 შემთხვევაში მოსამართლემ გამოარკვია აღკვეთის ღონისძიების შეცვლასთან დაკავშირებული საკითხის არსებობა/არარსებობის შესახებ.

81 საქმიდან, სულ 40 შემთხვევაში იყო დაყენებული აღკვეთის ღონისძიების სახის შეცვლის შესახებ შუამდგომლობა და პატიმრობის არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის მოთხოვნა. 40 შუამდგომლობიდან დაკმაყოფილდა მხოლოდ 2 შუამდგომლობა. ერთ შემთხვევაში პატიმრობა შეიცვალა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებით - გირაოთი და მეორე შემთხვევაში, მოსამართლემ არ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე.

უნდა აღინიშნოს, რომ განხილული პროცესებიდან - აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ შუამდგომლობა არ დაყენებულა - 36 საქმესთან/ბრალდებულთან მიმართებით.

მხარის მიერ დაყენებული საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ შუამდგომლობის შინაარსი ძირითადად არგუმენტირებული და დასაბუთებული გახლდათ შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

- საქმეში არსებული მტკიცებულებები უკვე მოპოვებულია და ვერ მოხდებოდა მათი განადგურება. ასევე, მოწმეები დაკითხულია სასამართლოში და ბრალდებული მათ ნებაზე გავლენას ვერ მოახდენდა;
- ბრალდებულისა და დაზარალებულის შერიგების გამო, არ არსებობდა საფრთხეები ძალადობის ფაქტის განმეორებისა;
- ნოტარიულად დადასტურებული დაზარალებულის თანხმობა - აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის, ბრალდებულის სისხლისამართლის

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისა და ბრალდებულის მიმართ პრეტენზიის არქონის შესახებ;

- აღარ არსებობდა ის საფრთხეები, რაც ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის დროს პატიმრობის საფუძველი გახდა. ბრალდებული აღიარებდა და გულწრფელად ინანიებდა ბრალად შერაცხულ ქმედებას;
- აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საფუძვლად წარმოდგენილი გახლდათ გირაოს სახით ფულადი თანხები: 1000, 1500, 2000, 3000 და ერთ შემთხვევაში 10.000 ლარის ოდენობით.

ბრალდებულის მიმართ საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის შესახებ, დაცვის მხარისა და თავად ბრალდებულის მიერ დაყენებული შუამდგომლობებიდან, ბრალდების მხარე არც ერთი შუამდგომლობის დაკმაყოფილებას არ დაეთანხმა და განმარტა, რომ:

- არსებობს საფრთხეები ახალი დანაშაულის ჩადენის, რადგან ბრალდებული სისტემატურად ძალადობდა ოჯახის წევრებზე და რადგან ის ერთხელ უკვე ნასამართლევია ძალადობის ფაქტზე;
- ოჯახში ძალადობა ხასიათდება სპეციფიურობით და რადგან მოწმეები ოჯახის წევრები არიან, არსებობს მოწმეებზე ზემოქმედებისა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე;
- არსებობს მომეტებული საფრთხეები, როგორც მოწმეებზე ზემოქმედების, ისე ახალი დანაშაულის ჩადენის. დაზარალებულთა განმარტებით, ბრალდებული სისტემატურად ძალადობდა დაზარალებულებზე;
- დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია ახალი არსებითი გარემოება, რაც საფუძველი გახდებოდა საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შეცვლის და კვლავ არსებობს იგივე საფრთხეები, რაც ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის დროს არსებობდა;
- ბრალდებულის მიმართ გამოყენებულმა შემაკავებელმა ორდერმა ვერ აღკვეთა ბრალდებულის მიერ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებები, რაც დიდი ალბათობით ადასტურებს, რომ ბრალდებულმა არ შეიცვალა დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ;
- ბრალდებული სჩადიოდა სისტემატურ ძალადობას ოჯახის წევრების მიმართ, ასევე, დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნეოდა ძალადობა მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით;
- დანაშაულის ფორმალური გარემოებები ისევ სახეზეა, დანაშაულის ჩადენიდან დღემდე რაიმე ახალი გარემოება საქმეზე არ გამოვლენილა,

რაც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ საკითხის გადაწყვეტაზე გავლენას მოახდენდა;

- ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიება ძალაში უნდა დარჩენილიყო, რადგან კონფლიქტი ამოწურული არ იყო და ასევე, მოძალადის ძალადობრივი ქმედებების შეჩერება მის მიმართ გამოცემულმა შემაკავებელმა ორდერმაც ვერ უზრუნველყო;
- ბრალდების მხარის წარმომადგენელმა მოითხოვა, სასამართლოს ძალაში დაეტოვებინა ბრალდებულის პატიმრობა, რადგან გირაო ვერ უზრუნველყოფდა ბრალდებულის მიერ ძალადობრივი ფაქტების შეჩერებას.

მოსამართლის უარი აღკვეთის ღონისძიების სახის - პატიმრობის არასაპატიმრო ღონისძიებით შეცვლის შესახებ შუამდგომლობაზე შემდეგი გარემოებებით საბუთდება:

- შესაძლებელია ახალი დანაშაულის ჩადენისა და მიმალვის საფრთხის არსებობა;
- ბრალდებულის მიმართ გამოყენებულმა შემაკავებელმა და დამცავმა ორდერებმა ვერ მოახდინა მის მიერ ძალადობრივი ქმედებების აღკვეთა;
- არსებობს საფრთხე, ბრალდებულმა თავი აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას;
- არ არსებობს გარანტია, რომ ბრალდებული ზემოქმედებას და გავლენას არ მოახდენს დაზარალებულზე;
- ადგილი აქვს სისტემატური ძალადობის ფაქტებს, ბრალდებული არის ალკოჰოლის მომხმარებელი და ვერ აკონტროლებს თავისძალადობრივ ქცევებს. ძალადობრივი ქცევა ხდება არასრულწლოვანთა თანდასწრებით;
- არსებობს საქმეზე არსებულ მტკიცებულებათა განადგურების, დაზარალებულებსა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე;
- საქმეში არსებული მოწმეები ბრალდებულის ოჯახის წევრები არიან და სასამართლოში დაკითხვამდე არსებობს მათზე ზეგავლენის რისკი;
- დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობს დანაშაულის გაგრძელების საფრთხე და საქმეზე მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებათა მოსპობის მაღალი რისკი;
- პრიორიტეტი არის ძალადობის პრევენცია, ქმედების საშიშროებიდან და დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, საფრთხეები კვლავ არსებობს, ბრალდებულის არაერთი ნასამართლეობის გათვალისწინებით;

- სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების მიზნებს;
- არ არსებობს ახალი არსებითი გარემოება, რომელიც გავლენას მოახდენს აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლაზე;
- არსებობს მომეტებული საფრთხე, ბრალდებულმა კვლავ ჩაიდინოს ძალადობრივი ქმედება;
- საფრთხეები იგივეა, რაც იყო ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის დროს პატიმრობის გამოყენებისას;
- არსებობს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, ძალადობა ატარებს სისტემატურ ხასიათს;
- საქმეში არსებობს არაერთი შემაკავებელი ორდერი და მათ შორის ინფორმაცია შემაკავებელი ორდერის პირობების დარღვევის შესახებ;

რაც შეეხება მოსამართლის მიერ 2 შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ დასაბუთებასა და პირობებს:

შუამდგომლობა N:1

მოსამართლემ გაითვალისწინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სადაც მითითებული იყო, რომ ბრალდებულმა მეუღლეს შელაპარაკების ნიადაგზე ხელი მოუჭირა ყელის არეში, რამაც ტკივილი გამოიწვია. ასევე, გაითვალისწინა ბრალდებულის აღიარება და გულწრფელი მონანიება. მოსამართლემ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ძალადობის ფაქტი იყო ერთჯერადი, ბრალდებულის მიმართ არ იყო გამოყენებული შემაკავებელი და დამცავი ორდერები, ბრალდებული დადებითად ხასიათდებოდა ოჯახის წევრების მიერ. ასევე, დადებითად შეფასდა ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები. შესაბამისად, მოსამართლემ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა აღვეთის ღონისძიების - პატიმრობის გირაოთი შეცვლის შესახებ. დაცვის მხარის მიერ შეთავაზებული გირაოს თანხა გახლდათ 2000 ლარი, ხოლო მოსამართლემ გირაოს პირობები ჩამოაყალიბა შემდეგგვარად: გირაოს თანხად 3000 ლარის ჩარიცხვა ან 3000 ლარის ღირებულების უძრავი ქონების უზრუნველყოფა. ასევე, მოძალადეს აეკრძალა დაზარალებულ მეუღლესთან ყოველგვარი სახის კომუნიკაცია.

შუამდგომლობა N:2

მოსამართლემ გაითვალისწინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და დაზარალებულის ჩვენება, სადაც ის მიუთითებდა, რომ იღებდა გარკვეულ ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, რომლის შედეგადაც, მომატებულ ემოციურ ფონს ვერ აკონტროლებდა და ეჭვიანობის ნიადაგზე მეუღლეს/ბრალდებულს მოუწყო ძალადობის ფაქტის პროვოცირება, მაგრამ ძალადობის ფაქტი არ დადგა. თავადვე აღნიშნა, რომ ჰქონდა ნერვული აშლილობა და ყოველგვარად ეცადა სამართალდამცავები დაერწმუნებინა მის მიმართ მეუღლის მხრიდან განხორციელებულ ძალადობაში. მოსამართლემ იმსჯელა და ადგილზე თათბირით დაადგინა, ბრალდებულის მიმართ გაუქმებულიყო პატიმრობა და სასამართლო დარბაზიდანვე გათავისუფლებულიყო. მის მიმართ არ გამოყენებულა არც ერთი სხვა სახის აღკვეთის ღონისძიება. მოსამართლემ აღნიშნა, რომ დაზარალებულის ჩვენება იყო ის ახალი არსებითი გარემოება, რაც საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეფასდა და რაც აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველი გახდა. არ არსებობდა ახალი დანაშაულის ჩადენის რეალური საფრთხე და მოუწოდა ბრალდების მხარესა და საქმის გამომძიებელს, კარგად შეესწავლათ აღნიშნული საქმე. ამავე დროს, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდებულის დამცველის შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ.

სასამართლო მონიტორინგისას შედგენილი ანგარიშებიდან, ასევე, ირკვევა, რომ დაკვირვებული პროცესების უმრავლესობაში, ბრალდებული აღიარებს მის მიმართ წარდგენილ ბრალს, სადავოდ არ ხდის საქმეში ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვაზე. ბრალდებულის მხრიდან აღნიშნული დამოკიდებულება რიგ შემთხვევებში და უფრო მეტად, ბრალდებულის დამცველის/ადვოკატის რეკომენდაციით ხორციელდება, რათა ბრალდებულის მხრიდან ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელებამ, როგორც ბრალის შემამსუბუქებელმა გარემოება იმოქმედოს მოსამართლის განწყობაზე, ასევე - მოსამართლის მიერ გამოყენებული როგორც აღკვეთის ღონისძიების სახის, ისე საბოლოო სასჯელის სახესა და ზომაზე.

მონიტორინგის ანგარიშებიდან, ასევე, ირკვევა, რომ სასამართლო და საქმის მონაწილე მხარეები იშვიათად იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, ასევე ქალთა უფლებების საერთაშორისო დოკუმენტებს.

სასამართლო მონიტორინგისას, დაკვირვებულ საქმეთა უმრავლესობაში დაფიქსირდა დაზარალებულის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი ნოტარიულად დამოწმებული განცხადება, რომლის შინაარსიც სხვადასხვა საქმესთან და ბრალდებულთან მიმართებით სხვადასხვა გახლდათ. განცხადების ზოგადი შინაარსის თანახმად, დაზარალებული ადასტურებდა, რომ „ბრალდებულის მიმართ პრეტენზია არ გააჩნდა“ და სასამართლოს სთხოვდა, მისი პოზიციის გათვალისწინებით, ერთ შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ გამოყენებულიყო არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება, მეორე შემთხვევაში - საპატიმრო აღკვეთის ღონისძიება შეცვლილიყო არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებით, მესამე შემთხვევაში კი, ბრალდებულის მიმართ შეწყვეტილიყო სისხლის სამართლის საქმე ან ბრალდებულის მიმართ გამოყენებულიყო მსუბუქი სასჯელის სახე და ზომა.

იგივე ტენდენციის მაჩვენებელი გახლდათ, დაზარალებულის მიერ ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, როგორც გამოძიების მიმდინარეობისას, ისე, სასამართლო სხდომათა განხილვის დროს. ძირითად შემთხვევებში, გამოძიების დროს დაზარალებული თანამშრომლობდა გამოძიებასთან და აძლევდა ჩვენებას, მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ის იცვლიდა პოზიციას და ცვლიდა მის მიერ გამოძიების სტადიაზე მიცემულ ჩვენებას ან/და უარს ამბობდა სასამართლოში ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე[8].

სასამართლო მონიტორინგის მიმდინარეობისას დასრულებული სისხლის სამართლის საქმეები

სასამართლო მონიტორინგის მიმდინარეობისას, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიაში დასრულდა 23 სისხლის სამართლის საქმის განხილვა, საიდანაც: 21 ოჯახში ძალადობისა და 2 ქალის მიმართ ძალადობის კვალიფიკაციით მიმდინარეობდა. დასრულებულ საქმეებზე სასამართლომ შემდეგი განაჩენი დაადგინა: 23 საქმიდან გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 20 საქმესთან მიმართებით, მათ შორის გაფორმდა 1 საპროცესო შეთანხმება; 1 საქმეზე დადგა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 2 საქმეში ბრალდებული ნაწილობრივ გამართლდა.

[8] http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19547&lang=geo

ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე გამამტყუნებელი განაჩენების ანალიზით, ბრალდებულთა მიმართ გამოყენებულია სასჯელის შემდეგი სახეები:



სასამართლოს მიერ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენების რიცხვით თუ ვიმსჯელებთ, სასამართლო ძირითად შემთხვევაში ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიართ ჩადენილ დანაშაულს. ამავე დროს, სასჯელის სახისა და ზომის გამოყენებისას ჩანს, რომ მოსამართლეები სასჯელის სახედ, ძირითადად, იყენებენ პირობით მსჯავრს, ხოლო სასჯელის ზომა შემდეგია:



ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ განხორციელებული სასამართლო მონიტორინგისას დასრულებულ საქმეებზე ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ იმ საქმეებზე, სადაც მოსამართლე პირობით მსჯავრს იყენებს, გარემოებები შემდეგია:

1. ბრალდებული აღიარებს და ინანიებს დანაშაულს;
2. ბრალდებულის მიმართ გამოცემული არ არის შემაკავებელი და დამცავი ორდერი;
3. ბრალდებული არ არის ნასამართლევი;
4. ძალადობრივი ქმედება არ იყო სისტემატური ხასიათის და მას არ მოჰყოლია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანებები;
5. ბრალდებული, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს სცნობს უდავოდ;
6. დაზარალებული შეურიგდა ბრალდებულს, მის მიმართ არ გააჩნია პრეტენზია და სასამართლოს სთხოვს მისი პოზიციის გაზიარებას;
7. ფიქსირდება ოჯახის რთული სოციალურ/ეკონომიკური მდგომარეობა.

ზემოაღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, სასამართლომ იმსჯელა <u>საქმე N:1</u> - ში, რომლის კვალიფიკაცია, საქმის გარემოებები და გამოყენებული სასჯელის სახე და ზომა შემდეგია:

<u>**საქმე N:1**</u>

ბრალდებულს ბრალი ედებოდა სსკ-ის 126[1]-მუხლის პირველი ნაწილით (**„ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა“),** კერძოდ - მეუღლის მიმართ ფიზიკურ ძალადობაში (სიტყვიერი კონფლიქტის ნიადაგზე, ყელის არეში ხელი მოუჭირა), რასაც არ მოჰყოლია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანებები.

ბრალდებული თავს სცნობდა დამნაშავედ და გულწრფელად ინანიებდა მომხდარს, მის მიმართ არ ფიქსირდებოდა შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოცემის ფაქტი; განხორციელებული ძალადობა იყო ერთჯერადი ხასიათის. ბრალდებულმა ბრალდების მხარის მტკიცებულებები უდავოდ სცნო.

საქმეში ფიქსირდებოდა დაზარალებულის განცხადება „ბრალდებულთან შერიგებისა და მის მიმართ პრეტენზიის არ ქონის“ შესახებ. ასევე, დაცვის მხარისა და დაზარალებულის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი გახლდათ ბრალდებულის მიერ ნაკისრი საბანკო ვალდებულების (იპოთეკის ხელშეკრულება) შესახებ ინფორმაცია, რასთან დაკავშირებითაც თავად დაზარალებული განმარტავდა, რომ ბრალდებულის მიმართ რეალური საპატიმრო სასჯელის გამოყენება, უკიდურეს ფინანსურ მდგომარეობაში ჩააგდებდა ოჯახს და მათ 3 შვილს.

ბრალდების მხარის პოზიცია და მოთხოვნა სასჯელის ყველაზე მკაცრი სახისა და ზომის გამოყენება გახლდათ. შესავალი და დასკვნითი სიტყვების დროს, ბრალდებულმა სთხოვა სასამართლოს, მის წინაღარმდეგ პირობითი მსჯავრი გამოეყენებინათ.

სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა: თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, პირობით გამოსაცდელად.

სასამართლოს მიერ ბრალად შერაცხული დანაშაულისათვის, სსკ-ის 126[1]-მუხლის I ნაწილი სანქციის სახით ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ოთხმოციდან ასორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებისა, რომელიც ბრადლებულის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების ზოგად საფუძვლებს წარმოადგენს, <u>საქმე N:2</u>-ში არსებითად სხვა გარემოება იკვეთება:

<u>საქმე N:2</u>

ბრალდებულს ბრალი ედებოდა სსკ-ის 126[1]-მუხლის პირველი ნაწილით („ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა“), კერძოდ - ყოფილი მეუღლის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაში (შელაპარაკების ნიადაგზე, დაზარალებულს სახის არეში ხელი გაარტყა) რასაც არ მოჰყოლია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანებები.

აღნიშნული საქმის განხილვისას, სასამართლო სხდომებზე გაჟღერებული ინფორმაციის თანახმად, ბრალდებული თავს დამნაშავედ სცნობდა და გულწრფელად ინანიებდა ჩადენილს. უდავოდ ხდიდა ბრალდების მხარის მტკიცებულებებს. საქმეში არ ფიქსირდებოდა ნასამართლეობისა და შემაკავებელი/დამცავი ორდერების არსებობა. ბრალდებული მიდრეკილი არ იყო ძალადობრივი დანაშაულის ჩადენაში და დადებითად ხასიათდებოდა. მეუღლის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედება ერთჯერადი გახლდათ. საქმეში არსებობდა მეუღლის განცხადება, რომ მას პრეტენზია არ ჰქონდა ბრალდებულის მიმართ.

ბრალდებული განქორწინებული იყო მეუღლესთან და იმის გამო, რომ შერიგების იმედი არ გასჩენოდა, ყოფილ მეუღლესთან ყოველგვარ კონტაქტს ერიდებოდა.

მოსამართლემ იმსჯელა და ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა. სასჯელის სახედ და ზომად გამოიყენა პატიმრობა 6 თვის ვადით,

საპატიმროში მოხდით. განაჩენის გამოტანისას მოსამართლემ განმარტა: „მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულმა თავი დამნაშავედ სცნო, მან საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე არ დააფიქსირა მისი აზრი ბრალთან მიმართებით, რამაც ეჭვქვეშ დააყენა ბრალდებულის მიერ გულწრფელი მონანიების ფაქტი“ და რეალური სასჯელის გამოყენება განაპირობა.

სასამართლოს მიერ ბრალად შერაცხული დანაშაულისათვის, სსკ-ის 126[1]-მუხლის I ნაწილი სანქციის სახით ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ოთხმოციდან ასორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე.

ზემოაღნიშნული ორი საქმის არსის, ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისა და მისი მახასიათებლების ურთიერთშედარებისას ირკვევა, რომ ორივე საქმე თითქმის იდენტურია, მაგრამ <u>საქმე N:2-ში</u> ბრალდებულის მიმართ გამოყენებული სასჯელის სახე და ზომა უფრო მკაცრია, რადგან ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარებისა და გულწრფელი მონანიების ფაქტი მოსამართლემ სარწმუნოდა არ მიიჩნია.

ზემოაღნიშნული 2 საქმისაგან განსხვავებით, ქვემოთ მოცემულ საქმე N:3-ში, ბრალდებულის წინააღმდეგ გამოყენებული დამცავი ორდერის არსებობის მიუხედავად, სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამოიყენა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და არ გაითვალისწინა ბრალდებულის მახასიათებლები - დამცავი ორდერისა და ნასვამ მდგომარეობაში ჩადენილი ქმედების ფაქტორი. ასევე, მოსამართლემ ბრალდებულის მიმართ გამოიყენა სასჯელის სახის მინიმალური ზომა.

<u>**საქმე N:3**</u>

ბრალდებულს ბრალი ედებოდა სსკ-ის 126[1]-მუხლის I ნაწილით (**„ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა“),** კერძოდ - ყოფილი მეუღლის მიმართ ფიზიკურ (სახის არეში ხელის გარტყმის) და სიტყვიერი ძალადობაში, განხორციელებული ნასვამ მდგომარეობაში. საქმის განხილვისას დაფიქსირდა ბრალდებულის მიმართ გამოცემული დამცავი ორდერი.

ბრალდებული აღიარებდა და ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს და უდავოდ ცნობდა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. საქმეში, ასევე, არსებობდა დაზარალებულის განცხადება, სადაც ის დადებითად ახასიათებდა ბრალდებულს და ადასტურებდა მასთან შერიგებასა და მომხდარის პატიებას.

მოსამართლემ იმსჯელა და ბრალდებულის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 80 საათი.

სასამართლოს მიერ ბრალად შერაცხული დანაშაულისათვის, სსკ-ის 126[1]-მუხლის პირველი ნაწილი სანქციის სახით ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ოთხმოციდან ასორმოცდაათ საათამდე ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩანს, რომ სასამართლოს მიდგომა მოძალადე/ბრალდებულთან მიმართ, განსაკუთრებით - გამოყენებული სასჯელის სახისა და ზომის ნაწილში არაერთგვაროვანი და რიგ შემთხვევებში უთანასწორო. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების ინფორმაციით, ბრალდებულის მიმართ პირობითი მსჯავრის 1 წლით გამოყენების პრაქტიკა შეინიშნებოდა იმ სისხლის სამართლის საქმეებში, სადაც ძალადობის ფაქტი განხორციელდა: „არასრულწლოვნის თანდასწრებით"; „ძალადობის 2 ეპიზოდში"; „ორი ან მეტი პირის მიმართ ძალადობის" და „არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის" შემთხვევებში. აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებებთან მიმართებით, პირობითი მსჯავრის გამოყენებისას სასამართლო ასევე მითითებას აკეთებდა საქმეში არსებულ ბრალის შემამსუბუქებელ გარემოებებზე და ბრალდებულის მახასიათებლებზე რომლებიც ზემოთ 7 პუნქტად არის ჩამოთვლილი, კერძოდ: ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების და მონანიების, ძალადობრივი ფაქტის ერთჯერადად განხორციელების, მტკიცებულებათა უდაოდ ცნობის, ბრალდებულის ნასამართლეობის არ ქონის და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების არსებობისას.

მონიტორების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების თანახმად, იმ საქმეებში, სადაც ბრალდებული იყო ნასამართლევი ან მის მიმართ გამოყენებული გახლდათ შემაკავებელი/დამცავი ორდერი, ასევე, ბრალდებულის მიერ განხორციელებული ძალადობა წარმოადგენდა სისტემატურ ხასიათს, მოსამართლეთა მიერ გამოყენებული საბოლოო სასჯელის სახე და ზომა პირობითი მსჯავრი 12 თვიდან 18 თვემდე ვადით განისაზღვრებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარეც ჩანს, რომ სასამართლო მსგავსი მოცემულობის საქმეებშიც თავს იკავებს რეალური სასჯელის სახისა და ზომის გამოყენებისაგან.

თუმცა, აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომ დაკვირვებული საქმეების **უმრავლესობაში ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებული იყო პატიმრობა,** რაც გვაძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ სასამართლო აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების დროს

ბრალდებულის საპატიმროში ყოფნას, მხვერპლისაგან იზოლირებას და კონფლიქტის განეიტრალებას საკმარისად თვლის მომავალში დაზარალებულის უსაფრთხოებისა და ბრალდებულის მიერ ძალადობრივი დანაშაულის თავიდან არიდებისათვის, რაც ჩვენი აზრით არასაკმარისი ღონისძიებაა მომავალში დაზარალებულის მეორადი ვიქტიმიზაციისა და მისი უსაფრთოებისათვის.

რაც შეეხება ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე რეალური საპატიმრო სასჯელის გამოყენების პრაქტიკას, მონიტორების დაკვირვებით, სასამართლომ რეალური საპატიმრო სასჯელი გამოიყენა 3 ბრალდებულის მიმართ. კერძოდ:

<u>საქმე N:4</u>

ბრალდებულს ბრალი ედებოდა სსკ-ის 126 მუხლის I ნაწილით (**„ქალის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობა“),** კერძოდ - ბრალდებულმა ტრანსგენდერ ქალს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა (სახის არეში ხელი გაარტყა).

საქმეში არსებობდა დაზარალებულის ნოტარიულად დამოწმებული განცხადება, სადაც ის ადასტურებდა, რომ ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კონფლიქტი ამოწურული იყო და რომ მას პრეტენზია აღარ ჰქონდა ბრალდებულის მიმართ.

აღნიშნულ საქმეზე, მოსამართლემ რამდენჯერმე მიმართა ბრალდებულს და ჰკითხა: „გენდერული ნიშნით იდენტობის გამო იძალადა თუ არა“. ბრალდებული რამდენიმე სხდომაზე უარყოფდა ძალადობის ფაქტს და მხოლოდ ბოლო სხდომაზე აღიარა დანაშაული.

სათათბირო ოთახში განაჩენის გამოტანის შემდეგ, მოსამართლემ დარბაზში გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწლი გამოაცხადა და ბრალდებული დამნაშვედ ცნო სსკ-ის 126-ე მუხლის I ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად შეუფარდა - თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) თვის ვადით.

სასამართლოს მიერ ბრალად შერაცხული დანაშაულისათვის, სსკ-ის 126-მუხლის პირველი ნაწილი სანქციის სახით ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან შინაპატიმრობას ვადით ექვსი საათიდან ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე.

<u>საქმეN:5</u>-ში ბრალდებულს ბრალად ედებოდა დის მიმართ განხორციელებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. მის მიმართ სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა და ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქმე N:6-ში ბრალდებულის მიერ ადგილი ჰონდა დანაშაულის რეციდივს და ასევე, ძალადობრივი დანაშაულის განხორციელების სამ ეპიზოდს. მის მიმართ სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა და ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 თვის ვადით, საპატიმროში მოხდით.

სამე N:7-ში ბრალდებულს ბრალად ედებოდა ორი პირის მიმართ სისტემატიური ძალადობა, ნასამართლევი გახლდათ 2 სხვადასხვა განზრახი დანაშაულისათვის. დაზარალებულები ითხოვდნენ ბრალდებულის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. თავად ბრალდებული ნაწილობრივ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლომ ბრალდებულის მიმართ დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით, საპატიმროში მოხდით.

გამამართლებელი განაჩენი და საპროცესო შეთანხმება

საქმეN:8-ში სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის დადგენასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულს ბრალად ედებოდა შვილის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობა. იგი თავს დამნაშავედ სცნობდა ჩადენილ ქმედებაში. საქმეში არსებული მტკიცებულებების თანახმად, დაზარალებულის მიერ მიცემული ჩვენება და ექსპერტიზის დასკვნა ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. ამასთან, დაზარალებულმა უარი განაცხადა სასამართლოზე ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. მოსამართლემ აღნიშნულ საქმეზე განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების შემდგომ განმარტა, რომ დაზარალებულის მიმართ ძალადობის ფაქტი არ დასტურდებოდა - თავად დაზარალებულმა ჩვენება არ მისცა სასამართლოში და მხოლოდ ბრალდებულის აღიარება სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი ვერ გახდებოდა. საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნა ეწინააღმდეგებოდა ბრალდებულის ჩვენებას. ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოება საფუძველი გახლდათ მოსამართლის მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანისათვის.

საქმეN:9-ში სასამართლომ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ბრალდებულს ბრალად ედებოდა ორსული მეუღლის მიმართ ფიზიკური ძალადობა. ბრალდებული აღიარებდა და ინანიებდა დანაშაულს და უდავოდ სცნობდა საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას. მიუხედავად იმისა, რომ თავად დაზარალებული მიმდინარე სასამართლო სხდომებს ესწრებოდა, უცნობია მისი პოზიცია ბრალდებულის მიმართ საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე. ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის

მიუხედავად, ბრალდების მხარემ განმარტა, რომ ბრალდებულმა აღიარა დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან და შედგა შემდეგი შეთანხმება: ბრალდებულს სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 6 თვის ვადით, პენიტენციალურ დაწესებულებაში 6 თვიანი ვადის მოხდით, დანარჩენი კი ჩაეთვალა პირობითად, 2-წლიანი გამოსაცდელი ვადით.

ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონიერ ძალაში შესული განაჩენების ზოგადი ანალიზი და განაჩენებში სასჯელის სახისა და ზომის რელევანტურობის კვლევა

ადამიანის უფლებათა ცენტრმა 26 რაიონული/საქალაქო სასამართლოდან გამოითხოვა კანონიერ ძალაში შესული გამამართლებელი/გამამტყუნებელი განაჩენების დაშტრიხული ასლები, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეებს ეხებოდა.

26 რაიონული/საქალაქო სასამართლოდან 22 სასამართლოს მიერ მოწოდებულ იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია. რაც შეეხება დანარჩენ 4 სასამართლოს:

1. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს გამოთხოვილ პერიოდსა და საქმეთა კვალიფიკაციაზე სამართალწარმოება არ განუხორციელებია;
2. გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეებს აღარ განიხილავს;
3. რუსთავის რაიონულმა სასამართლომ ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაწოდა გამოთხოვილი ინფორმაციის ერთი ნაწილი, მეორე ნაწილის გაცემაზე კი უარი განაცხადა განაჩენთა სიმრავლისა და მათი დამუშავება/დაშტრიხვისათვის სათანადო კადრების არარსებობის გამო;
4. გორის რაიონული სასამართლოდან ადამიანის უფლებათა ცენტრმა, ინფორმაცია შინაარსობრივად და რაოდენობრივად უზუსტო მიიღო.

გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მიღებაზე ადამიანის უფლებათა ცენტრს თავდაპირველად უარი ეთქვა ოზურგეთის, გორისა და ბოლნისის რაიონული სასამართლოების მიერ. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გასაჩივრების შემდგომ, ორგანიზაციამ გამოთხოვილი ინფორმაცია მიიღო.

როგორც აღნიშნული კვლევის „სტატისტიკის ანალიზის“ თავშია განმარტებული, კვლევის პირველ ეტაპზე, საკვლევი მასალის/განაჩენების რაოდენობის შესახებ უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაცია არსებითად არ დაემთხვა რაიონული/საქალაქო

სასამართლოების მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ ინფორმაციას. სტატისტიკური მონაცემების უზუსტობამ დაგეგმილი კვლევის მეთოდოლოგიაში სირთულეები წარმოშვა, რამაც კვლევის მეთოდოლოგიის კორექტირება გამოიწვია. მეთოდოლოგიის კორექტირების შესაბამისად, სასამართლო მონიტორინგის განხორციელებისას დაკვირვებული საქმეების კვალიფიკაციის იდენტური გამამართლებელი/გამამტყუნებელი განაჩენების გამოთხოვა და ანალიზი განხორციელდა.

განაჩენების ანალიზისათვის, ადამიანის უფლებათა ცენტრმა 23 რაიონული/საქალაქო სასამართლოდან მიღებული განაჩენების როგორც ზოგადი ასევე, განაჩენებში გამოყენებული სასჯელის სახისა და ზომის რელევანტურობის ანალიზი განახორციელა. საერთო ჯამში, კვლევის ფარგლებში 118 განაჩენი გაანალიზდა.

გაანალიზებული განაჩენები და მათი რაოდენობა რაიონული/საქალაქო სასამართლოების მიხედვით შემდეგი გახლდათ:



გაანალიზებული განაჩენები დახარისხდა:

1) კანონიერ ძალაში შესვლის თარიღის მიხედვით;

2) სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენების მიხედვით;



3) მოძალადის/მსჯავრდებულის დაზარალებულთან კავშირის შესახებ ინფორმაციისა და შესაბამისი რაოდენობის მიხედვით;



4) მსჯავრდებულის ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის მიხედვით;



118 განაჩენის ანალიზისას, ინფორმაცია მსჯავრდებულთა განათლების შესახებ შემდეგია: 36 - საშუალო განათლებით; 8 - უმაღლესი განათლების; 6 - ტექნიკური განათლებით; 68 - მსჯავრდებულთან მიმართებით ინფორმაცია არ ფიქსირდება.

118 მსჯავრდებულიდან: 20 მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული იყო შემაკავებელი, ხოლო 2 მსჯავრდებულის მიმართ დამცავი ორდერი.

32 ბრალდებულის მიმართ ფიქსირდება ძალადობრივი დანაშაულის ჩადენა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ.

118 ძალადობრივი დანაშაულის განხილვისას დაფიქსირდა 28 ბრალდებული, რომელსაც ჰყავს 1 შვილი და 26 ბრალდებული, რომელსაც ჰყავს 2 და მეტი შვილი.

განაჩენთა ანალიზის შედეგად, ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის კვალიფიკაციით მიმდინარე საქმეებიდან:

- **57 საქმეში მსჯავრდებულს ბრალი ედებოდა:** ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობის, სისტემატიური შეურაცხყოფის, შანტაჟის ან დამცირების მიყენებაში, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა[9];
- **35 საქმეში მსჯავრდებულს ბრალი ედებოდა:** ძალადობაში მისივე ოჯახის წევრის მიმართ არასრულწლოვნის თანდასწრებით[10];
- **7 საქმეში მსჯავრდებულს ბრალი ედებოდა:** ორი ან მეტი პირის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში[11];

[9] სსსკ-ის 126[1]-მუხლის, პირველი ნაწილი;
[10] სსსკ-ის 126[1]-მუხლის, მე-2 ნაწილის, „ბ“ ქვეპუნქტი;
[11] სსსკ-ის 126[1]-მუხლის, მე-2 ნაწილის, „გ“ ქვეპუნქტი;

- **5 საქმეში მსჯავრდებულს ბრალი ედებოდა:** არაერთგზის ძალადობის ჩადენაში[12];
- **2 საქმეში მსჯავრდებულს ბრალი ედებოდა:** არასრულწლოვნის მიმართ ძალადობაში, არასრულწლოვნის თანდასწრებით ძალადობასა და ორი ან მეტი პირის მიმართ ძალადობაში[13];
- **5 საქმეში მსჯავრდებულს ბრალი ედებოდა:** არასრულწლოვნის მიმართ ძალადობასა და არასრულწლოვნის თანდასწრებით ძალადობაში[14];
- **3 საქმეში მსჯავრდებულს ბრალი ედებოდა:** წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ძალადობაში[15];
- **2 საქმეში მსჯავრდებულს ბრალი ედებოდა:** სისტემატური ცემისა და სხვაგვარი ძალადობისათვის, რაც დაზარალებულის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას აყენებდა[16];
- **1 საქმეში მსჯავრდებულს ბრალი ედებოდა:** არასრულწლოვნის მიმართ ძალადობაში; არასარულწლოვნის თანდასწრებით ძალადობასა და არაერთგზის ძალადობაში[17];
- **1 საქმეში მსჯავრდებულს ბრალი ედებოდა:** არასრულწლოვნის თანდასწრებით ძალადობასა და არაერთგზის ძალადობაში[18].

უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილი განაჩენების მიხედვით, ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური ძალადობის საქმეთა უმეტეს შემთხვევაში სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა, მაგრამ მოსამართლეები ყველა შესაძლო შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ სათანადო სიმძიმის სასჯელს არ იყენებდნენ, რაც ეფექტიანად იმოქმედებდა განმეორებითი ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით და მაქსიმალურად უზრუნველყოფდა მსხვერპლთა უსაფრთხოებას. შესწავლილი 118 განაჩენიდან 98%-ის შემთხვევაში სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა, რომელთა შორის, საქმეთა 17%-შემთხვევაში მოძალადე/ბრალდებულებთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. მართალია, საქმეთა უმეტეს შემთხვევაში დამდგარია გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ რიგ საქმეებში კითხვის ქვეშ დგება გამოყენებული სასჯელის ადეკვატურობის და მისი ეფექტიანობის საკითხი.

---

[12] სსკ-ის 126[1]-მუხლის, მე-2 ნაწილის, „ე“ ქვეპუნქტი;
[13] სსკ-ის 126[1]-მუხლის, მე-2 ნაწილის, „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტი;
[14] სსკ-ის 126[1]-მუხლის, მე-2 ნაწილის, „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტი;
[15] სსკ-ის 126[1]-მუხლის, მე-2 ნაწილის, „ა“ ქვეპუნქტი;
[16] სსკ-ის 125-ე მუხლი (ძველი რედაქცია);
[17] სსკ-ის 126[1]-მუხლის, მე-2 ნაწილის, „ა“, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტი;
[18] სსკ-ის 126[1]-მუხლის, მე-2 ნაწილის, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტი;

შესწავლილ 118 განაჩენში, სასამართლოს მიერ გამოყენებული სასჯელის სახე და ზომა შემდეგი გახლდათ:

პირობითი მსჯავრი სხვადასხვა სასჯელის ზომით:	48
რეალური თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა სასჯელის ზომით:	26
ნაწილობრივ რეალური სასჯელი და ნაწილობრივ პირობითი მსჯავრი:	6
პირობითი მსჯავრი და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა:	8
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა:	16
რეალური თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა სასჯელის ზომით და ჯარიმა სხვადასხვა ფულადი ოდენობით:	2
საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და ჯარიმა:	1
საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და მოძალადის სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართვა:	2
ჯარიმა და საზოგადეოებისთვის სასარგებლო შრომა:	9

როგორც ცხრილშია მოცემული, ბრალდებულთა მიმართ ძირითად შემთხვევაში გამოყენებულია პირობითი მსჯავრი და ასევე - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. იმ საქმეთა შესწავლისას, სადაც აღნიშნული სასჯელის სახე და ზომა იქნა გამოყენებული, დაფიქსირდა, რომ ძალადობის ფაქტი არ იყო სისტემატური ხასიათის; ბრალდებული აღიარებდა და ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს; უდავოდ სცნობდა ბრალდების მხარის მტკიცებულებებს; რიგ საქმეებში ფიქსირდებოდა ოჯახის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ასევე, თავად დაზარალებულს პრეტენზია არ გააჩნდა ბრალდებულთან და მასთან შერიგების ფაქტს ადასტურებდა.

თუმცა, ზემოაღნიშნული გარემოებებისაგან განსხვავებით, სასჯელის სახედ პირობითი მსჯავრის და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენება დაფიქსირდა ისეთ საქმეებში, სადაც ფიქსირდებოდა: შემაკავებელი ორდერების არსებობა; ფიზიკური ძალადობის ფაქტები განხორციელებული არასრულწლოვნის მიმართ; არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ ძალადობა და სისტემატიური ძალადობის ფაქტები. თუმცა, აღნიშული არ ასახულა გამოყენებული სასჯელის სახესა და ზომაზე და ბრალდებულებს რიგ შემთხვევაში, შეეფარდათ პირობითი მსჯავრი და რიგ შემთხვევაში სასჯელის სახედ გამოყენებული გახლდათ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

რაც შეეხება რეალური სასჯელების გამოყენების საკითხს, განაჩენთა ანალიზით ირკვევა, რომ ძირითადად რეალური სასჯელების გამოყენებას ადგილი აქვს, როდესაც ბრალდებულს ბრალი ედება ძალადობის რამდენიმე ეპიზოდში; ძალადობა განხორციელებულია არაერთგზის და ორი და მეტი პირის მიმართ; არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრზე არაერთგზის ძალადობაში და სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-მუხლის, მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქვეპუნქტების ერთობლიობით ჩადენილ დანაშაულებში.

განაჩენთა ანალიზით გამოირკვა, რომ ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის სისხლის სამართლის საქმეთა უმრავლესობის ერთ ნაწილში, სადავოდ არ გამხდარა და არ გამოკვლეულა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, ხოლო მეორე ნაწილში განაჩენში მოცემულია მტკიცებულებათა არასრული ჩამონათვალი. აღნიშნული ორი გარემოება მიზეზი გახდა იმისა, რომ განაჩენებში არსებული მტკიცებულებების შინაარსის და მათი საქმესთან რელევანტურობი ანალიზი ვერ განხორციელდა.

განაჩენთა ანალიზისას ასევე გამოირკვა, რომ რიგ საქმეებში ბრალდების მხარე მის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილ მტკიცებულებათა ნუსხაში მიუთითებდა ინფორმაციას ბრალდებულის ნასამართლეობის ან/და მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი/დამცავი ორდერების შესახებ. თუმცა, შემდგომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ აღნიშნულ მახასიათებლებთან მიმართებით არ ხდებოდა განმარტება - ინფორმაცია ადასტურებდა ბრალდებულის ნასამართლეობას და მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი/დამცავი ორდერების არსებობას, თუ მხოლოდ ცნობის სახით გახლდათ გამოთხოვილი ინფორმაცია. აღნიშნული საკითხის ბუნდოვანებამ, ასევე, გამოიწვია შესწავლილ განაჩენებში გამოყენებული დანაშაულის სასჯელის სახისა და ზომის შეფასების პრობლემა.

ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის განაჩენთა ანალიზით დგინდება, რომ გაანალიზებული განაჩენებიდან მხოლოდ 2 შემთხვევაშია გამოყენებული სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] - მუხლი, როგორც ქალის მიმართ დისკრიმინაციული, ასევე დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი დანაშაული.

მონიტორინგის შედეგების ზოგადი ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა როგორც კანონმდებლობის სრულყოფის, ისე მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მიმართულებით, ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაული დღესაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ქვეყნისათვის.

მონიტორინგის ანგარიშში მოცემული სტატისტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში არ არსებობს ერთიანი და სისტემატიზებული სტატისტიკური ბაზა ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულის თაობაზე ყოველმხრივ დამუშავებული ინფორმაციით.

სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, სისტემატიზაცია და ანალიზი ხელს შეუწყობს ძალადობის წინააღმდეგ მომუშავე ყველა აქტორს, განახორციელონ სწორი და შედეგზე ორიენტირებული ღონისძიებები. ამავე დროს, დანაშაულის აღკვეთისა და პრევენციის ღონისძიებების სწორად დაგეგმვისა და წარმართვისათვის, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ ქვეყანაში დაფიქსირებული ძალადობრივი დანაშაულის რიცხვი.

კვლავ გამოწვევად რჩება ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების საკითხი. უკანასკნელმა კვლევებმაც დაადასტურა, რომ საზოგადოებას ჯერაც მაღალი მიმღებლობა აქვს ქალის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე.

ქალთა მიმარ ძალადობრივი დანაშაულის კლებისათვის სათანადო რეაგირება უნდა განახორციელონ სამართალდამცავმა ორგანოებმა, რომლებმაც კვალიფიციური, სენსიტიური და დაზარალებულის ნდობის მოპოვებაზე ორიენტირებული სასამართალწარმოება უნდა განახორციელონ. ბრალდებისა და სასამართლო ორგანოები კი ორიენტირებულნი უნდა იყვნენ მსხვერპლის მეორადი ვიქტიმიზაციის აღსაკვეთად და მათი უსაფრთხოების გარანტიისათვის შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად.

ზემოაღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომათა მონიტორინგის დროს დაფიქსირებული ტენდენციით, ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე კონფლიქტის განეიტრალების, დაზარალებულთა უსაფრთხოებისა და მათი მეორადი ვიქტიმიზაცის პრევენციისათვის, ბრალდების მხარე ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების დროს, ძირითად შემთხვევაში, ითხოვს აღკვეთის ღონიძიების სახისა და ზომის ყველაზე მკაცრ - პატიმრობის შეფარდებას. „სასამართლო სხდომათა მონიტორინგის“ თავში მოცემული სტატისტიკური ინფორმაციით, 81 ბრალდებულიდან 66 ბრალდებულთან მიმართებით გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე პატიმრობა გახლდათ.

სასამართლო სხდომათა მონიტორინგის დროს, ბრალდების მიერ ქალის მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეებზე დანაშაულის არასწორი კვალაიფიკაციის საკითხი არ გამოვლენილა. გამოვლინდა ერთეული სხვა შემთხვევები, როდესაც ბრალდებამ სასამართლო განხილვის დროს ბრალდებულის მიმართ წარდგენილი ორი დამოუკიდებელი დანაშაულის ეპიზოდიდან ერთ ეპიზოდზე ვერ წარადგინა ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ბრალდებული ნაწილობრივ გამართლდა.

რიგ საქმეებთან მიმართებით ბრალდების მხარის მიერ დაფიქსირდა საქმის განხილვის გაჭიანურების პრობლემა, რაც მოსამართლეთა და ბრალდებულის

დაცვის შენიშვნასა და უკმაყოფილებას იწვევდა. ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურების ფაქტები გამოწვეული გახლდათ სხვადასხვა გარემოებით. მაგალითად, ბრალდების მხარე სხვადასხვა მიზეზით აჭიანურებდა საქმეთა სასამართლო განხილვას ისეთ საქმეებში, სადაც დაზარალებული უარს ამბობდა გამოძიებასთან თანამშრომლობაზე, ასევე - საქმეში, სადაც დაზარალებულის მიერ ჩვენების მიუცემლობა საქმის განხილვის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა. ბრალდების მხარის მიერ საქმეთა განხილვის გაჭიანურება აღინიშნა რამდენიმე საქმესთან მიმართებით, როდესაც ბრალდებამ ვერ უზრუნველყო მის მიერ მოწმეებად დასახელებულ პირთა სასამართლოში დასაკითხად წარმოდგენა.

აღსანიშნავია სასამართლო სხდომათა მონიტორინგისას გამოვლენილი ერთი შემთხვევა, როდესაც ბრალდების მხარე/პროკურორი დაზარალებულის მიმართ სიტყვიერი მუქარის გზით ცდილობდა, ზეწოლა მოეხდინა დაზარალებულის ნებაზე, რომელიც უარს ამბობდა სასამართლოში ბრალდებულის (მეუღლის) წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენების მიცემაზე, რაც მისი, როგორც დაზარალებულის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მინიჭებულ უფლებას წარმოადგენს. ბრალმდებლის ქმედების საწინააღმდეგო პოზიციას აფიქსირებენ საქართველოს მთავარ პროკურტურაში[19].

ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულთა განხილვისას მოსამართლეთა უმრავლესობის მხრიდან გამოვლინდა საქმესთან მიმართებით ინდივიდუალური მიდგომისა და განხილვის პრაქტიკა. მოსამართლეები, უმრავლეს შემთხვევაში, ცდილობდნენ, დაედგინათ მოძალადე/ბრალდებულის მიერ განხორციელებული ძალადობრივი ქმედების მოტივი და მიზანი, ძალადობის სახე და ფორმა, მოესმინათ ბრალდებულისაგან მისი პოზიცია და დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მიმართ და აღნიშნულის შემდეგ გამოერკვიათ, ბრალდებული ცნობდა თუ არა თავს დამნაშავედ და გულწრფელად ინანიებდა თუ არა ჩადენილ დანაშაულს.

როგორც „სასამართლო მონიტორინგის“ თავშია მოცემული, მოსამართლეები სრულყოფილად და ამომწურავად უმარტავდნენ ბრალდებულებს მათ უფლება-მოვალეობებს და ასევე, ბრალდების მხარესაც სრულად ეძლეოდა საშუალება, საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად განეხორციელებინა თავისი უფლება-მოვალეობები. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მოქმედი სისხლის სამართლს საპროცესო კანონმდებლობით დაზარალებული არ წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის მხარეს, სასამართლო სხდომაზე დაზარალებულის მოწმის სახით დაკითხვის გარდა,

[19] იხ. სტატია: http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19547&lang=geo

მოსამართლეები ცდილობდნენ, სასამართლო სხდომათა მიმდინარეობისას დაზარალებულს გამოეხატა და დაეფიქსირებინა პოზიცია ბრალდებულთან და მის მახასიათებლებთან მიმართებით. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმეში ფიქსირდებოდა დაზარალებულის ნოტარიალურად დამოწმებული განცხადება, ბრალდებულთან შერიგების შესახებ. საქმეში ასეთი დოკუმენტის არსებობისას, მოსამართლეები ცდილობდნენ გაერკვიათ, დაზარალებულის მიერ გამოხატული პოზიცია ნაკარნახევი იყო მისი თავისუფალი ნებით თუ ბრალდებულმა ან მისმა გარემოცვამ მოახდინა დაზარალებულზე ზეწოლა.

დაკვირვებულ სასამართლო პროცესებში, ძალადობის მსხვერპლ ქალთა მიმართ სამართლიანი სასამართლოს პრინციპების განხორციელებისას არ გამოვლენილა რაიმე დამაბრკოლებელი ან შემაფერხებელი გარემოება, რაც დაზარალებულს დააბრკოლებდა და ხელს შეუშლიდა აღნიშნული უფლების განხორციელებაში.

სასამართლო მონიტორინგის დროს მოსამართლეთა მხრიდან არ დაფიქსირებულა ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სტერეოტიპული დამოკიდებულება და გამონათქვამები.

სასამართლოს შეფასებისას, ასევე, არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ სასამართლოს მუშაობის ტექნიკურ მხარეზე. თბილისის საქალაქო სასამართლოში გასახილველ საქმეთა სიმრავლე, ხშირ შემთხვევაში, აფერხებს საქმის დროულ განხილვას. განსახილველ საქმეთა სიმრავლისა და სასამართლოს გადატვირთულობის გამო, აშკარად ჩანს, რომ სასამართლო სხდომის დარბაზები არასაკმარისია, რაც ხშირად იწვევს განსახილველად ჩანიშნულ საქმეთა გადადებას. ასევე, ხშირი ტექნიკური ხარვეზებით ხასიათდება სასამართლოს შენობაში არსებული, საინფორმაციო მონიტორებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე მოცემული, დღის განმავლობაში განსახილველ საქმეთა საინფორმაციო გვერდი, რომლებიც სასამართლო მონიტორინგზე მომუშავე პირთათვის პირველადი ინფორმაციის მოპოვების წყაროს წარმოადგენს.

რაც შეეხება განაჩენთა შესწავლის შედეგად მიღებულ ანალიზს, დადგენილ გამამტყუნებელ განაჩენთა რიცხვი და გამოყენებული მაქსიმალური სასჯელის სახე და ზომა გარკვეულ შემთხვევებში, არ არის პროპორციული დაზარალებულთა უსაფრთხოების საკითხთან, რადგან ბრალდებულთა მიმართ საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად გამოყენებულია პირობითი სასჯელი. სასჯელის პროპორციულობისა და დსაზარალებულთა უსაფრთხოების პრობლემა დგება ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახურ დანაშაულებში ბრალდებულ პირებთან საპროცესო შეთანხმებების დამტკიცებასთან დაკავშირებითაც.

რეკომენდაციები

მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები და რეკომენდაციები:

- <u>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ</u> ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე ეფექტიანი და დროული რეაგირებისათვის უზრუნველყოს:
  - ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების ფაქტების გამოვლენის მექანიზმების გაუმჯობესება;
  - არსებულ პრევენციულ მექანიზმებზე და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის აუცილებლობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
  - ძალადობრივი დანაშაულების საქმეებზე ეფექტიანი გამოძიების წარმოება;
  - გენდერული ნიშნით ჩადენილი ქმედების იდენტიფიცირების, შეფასებისა და ანალიზის პრაქტიკის დანერგვა;
  - ძალადობრივი დანაშაულების შედეგად დაზარალებული ქალების სრულფასოვანი ინფორმირება დაცვისა და დახმარების ღონისძიებათა შესახებ, მათ შორის - შემაკავებელი და დამცავი ორდერების არსისა და თანმდევი შედეგების შესახებ;
  - დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედებისას ძალადობრივი ფაქტების რეალურად აღკვეთის მონიტორინგი;
  - ქვეყანაში წლის განმავლობაში რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულების სტატისტიკური დამუშავება გენდერული ნიშნით;
  - სსიპ „112“-ის გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის/კონფლიქტის შესახებ მიღებულ შეტყობინებებზე განხორციელებული რეაგირების შედეგის აღრიცხვა და ანალიზი;
- <u>საქართველოს მთავარმა პროკურატურამ</u> სამართალდამცავთა მიმართ დაზარალებულთა ნდობის ასამაღლებლად და დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად განახორციელოს შემდეგი ქმედითი ნაბიჯები:
  - პროკურორთა და პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, პროკურორების გადამზადება და სპეციალიზაცია ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულებზე;
  - ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე ზუსტი და სრულფასოვანი კვალიფიკაციის მინიჭება;

- პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის და ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულებზე საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება, რაც უზრუნველყოს დაზარალებულთა მიმართვიანობა სამართალდამცავი ორგანოებისადმი და ძალადობის ფაქტებზე დროულ რეაგირებას;
- ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზის წარმოება, რაც მომავალში აღნიშნულ დანაშაულთა პრევენციის ღონისძიებათა სწორ დაგეგმავს შუწყობს ხელს;
- გენდერული ნიშნით ჩადენილი ქმედების იდენტიფიცირების, შეფასებისა და ანალიზის პრაქტიკის დანერგვა;

➢ <u>საერთო სასამართლოებში</u> დროული და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ მისი კომპეტენციის ფარგლებში, აღმოფხვრას საქმისწარმოების შეფერხების მიზეზები და უზრუნველყოს სასამართლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- საერთო სასამართლოების სისტემაში განხორციელდეს განსახილველად შესულ საქმეთა სტატისტიკური აღრიცხვა: თემატური, გენდერული, საქმეზე დამდგარი შედეგის შესაბამისი მონაცემების დამუშავება, სისტემატიზაცია და ანალიზი.

➢ <u>იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ</u> მართლმსაჯულების ეფექტიანობისათვის განახორციელოს:

- თბილისსა და რეგიონებში მოქმედი და მომავალი მოსამართლეების გადამზადება ქალთა მიმართ, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საკითხებზე, რათა მოსამართლეებისათვის უფრო მეტად ნათელი გახდეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფენომენი და მისი ფსიქოლოგიური ასპექტები;
- მოსამართლეთა გადამზადება გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა ასპექტებზე და მათი იდენტიფიცირების საშუალებებზე;

➢ <u>საქართველოს პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ</u>:

- ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულის რეალური პრევენციისათვის აქტიურად იმუშაოს მოძალადე/ბრადებულთათვის რეაბილიტაციის კურსების და ძალადობრივი ქცევის კორექციის მიმართულებით;

თავი II: ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული ქალების მიმდინარე სასამართლო სხდომების მონიტორინგი და ამავე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულ ქალთა მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენების ანალიზი, შეფარდებული/გამოყენებული სასჯელის სახისა და ზომის ნაწილში

კვლევის ამ ნაწილის მიზანია ქალ მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ნარკოტიკული დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად, პრაქტიკაში არსებული ტენდეციებისა და საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირება, მართლმსაჯულების სისტემის ავკარგიანობის წარმოსაჩენად. ადამიანის უფლებათა დაცვის კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწისა და გაუმჯობესებისთვის, მნიშვნელოვანია ისეთი სტანდარტების დამკვიდრება და მექანიზმების შექმნა, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა პატივისცემას ქვეყანაში.

სისხლის სამართალწარმოების დროს პროცესის მონაწილეთა უფლებები და ინტერესები მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული. თუმცა, რიგ შემთხვევებში, არ ხდება ამ სტანდარტების დაცვა, რაც განპირობებულია როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული ხარვეზებით. ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოიკვლია სასამართლო პროცესების დროს გამოვლენილი ხარვეზები და დადებითი ტენდენციები. ანალიზი შესაძლებელი გახდა ზემოაღნიშნულ დანაშაულებზე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების შესწავლის შედეგად. კვლევა ეფუძნება როგორც ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლოთა საუკეთესო პრაქტიკის ანალიზებს, ისე საერთაშორისო მიდგომებსა და რეკომენდაციებს კვლევაში წარმოდგენილია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ტენდენციები, სასჯელის შეფარდების პრაქტიკა და მასთან დაკავშირებით არსებული ხარვეზები. კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ჩხრეკისა და ამოღების პრაქტიკაზე, შეფასებულია დაკავების კანონიერებასთან დაკავშირებით სასამართლო კონტროლის ეფექტურობა, აგრეთვე, წარმოდგენილია საპროცესო შეთანხმებისა და წინასასამართლო სხდომაზე გამოვლენილი ხარვეზები და ტენდენციები. რა თქმა უნდა, კვლევაში ყურადღება ეთმობა საქმის არსებითი განხილვის დროს გამოვლენილ ტენდენციებსა და სასამართლო მონიტორინგის შედეგებს.

კვლევას თან ერთვის მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტის შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების მთავარი მიზანი სისხლის სამართლის სისტემის სრულყოფა-გაუმჯობესება გახლავთ.

კვლევის ეს ნაწილი ეფუძნება სასამართლო პრაქტიკის, კერძოდ - სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე თავით გათვალისწინებულ ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოტანილი განაჩენების ანალიზს. ადამიანის უფლებათა ცენტრმა შეისწავლა და გააანალიზა ქვეყნის მასშტაბით, ქალთა მიერ განხორციელებულ ნარკოტიკულ დანაშაულებზე, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, ქალ ბრალდებულებთან მიმართებით 2017 წლის 1 აგვისტოდან - 2018 წლის თებერვლის ჩათვლით, 32 სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენები. *წარმოდგენილი დასკვნები და მიგნებები, ძირითადად, ამ დაკვირვებებს ეფუძნება.* განაჩენების შესწავლის შედეგად მიღებული ინფორმაცია ხაზს უსვამს, ცალკეულ შემთხვევებში, არსებულ პრაქტიკულ თუ საკანონმდებლო ხარვეზებს. პროცესში გამოვლენილ ხარვეზებზე დაყრდნობით მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

2017 წლის 1 აგვისტოდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით, ქალი ბრალდებულების მიმართ, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების ანალიზი ცხადყოფს, რომ მტკიცებულებათა ერთობლიობა რომელიც თავის მხრივ საფუძვლად ედება გამამტყუნებელ განაჩენს, ეფუძნება შემდეგი სახის მტკიცებულებებს:

- ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება;
- დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი;
- მოწმეთა ჩვენებები/გამოკითხვის ოქმები (ჩხრეკაში მონაწილე პოლიციელების);
- ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა;
- ნივთიერი მტკიცებულების სახით ამოღებული ნარკოტიკული საშუალება;
- რიგ შემთხვევებში, პოლიციის პატაკი ოპერატიული ინფორმაციის მიღების თაობაზე.

„გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტი თამაშობს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს სისხლის სამართლის პროცესში. იგი უზრუნველყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვას, არსებითად ამცირებს უსამართლო და დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის საფრთხეს, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ხელს

უწყობს შეცდომის დაშვების საფრთხის თავიდან აცილებას"[20]. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, ასევე, მიუთითებს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურდება პირის ბრალეულობა. შესაბამისად, სასამართლოს მიერ ამ სტანდარტის დაწევა და ზემოთ აღნიშნული მტკიცებულებების ერთობლიობის საკმარისად მიჩნევა, ბრალდების მხარეს უქმნის ხელსაყრელ პირობებს წარდგენილი ბრალის მარტივად დასადასტურებლად. ამას ცხადყოფს კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენებიც, რომელთა 100% გამამტყუნებელია. ამასთან, 87,5 %-ის შემთხვევაში გაფორმებულია საპროცესო შეთანხმება, რომელიც ბრალდების ხელში კიდევ ერთი ინსტრუმენტია, წინასწარი მოლაპარაკების გზით, ბრალის აღიარების სანაცვლოდ, თავიდან აიცილოს სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა. წესით, ეს გარემოება არ ათავისუფლებს მოსამართლეს ვალდებულებისგან, მტკიცებულებათა ერთობლიობით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დარწმუნდეს პირის ბრალეულობაში. მიუხედავად ამისა, შესწავლილი განაჩენების აბსოლუტურ უმრავლესობაში ჩანს, რომ მოსამართლეები (საქმეების ძირითად ნაწილში, პირის აღიარებითი ჩვენების არსებობის გამო), გადაწყვეტილებების მიღებისას, მტკიცებულებათა ერთობლიობის საკითხს ძალიან ზედაპირულად განიხილავენ. ეს გარემოება, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ზრდის სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან შესაძლო თვითნებობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკებს. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა გამოკვლეულ საქმეთაგან ერთ-ერთი, სადაც ბრალდებული ჩხრეკის არაკანონიერებასა და სამართალდამცავთა მიერ განხორციელებულ ზეწოლის ფაქტზე აპელირებს.

სტატისტიკური ანალიზი

კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენების ზოგადი სტატისტიკა მიუთითებს, რომ ნარკოტიკული დანაშაულისათვის საკვლევ პერიოდში გასამართლებული ქალების უმრავლესობის წინააღმდეგ (60.4%), სისხლის სამართლებრივი წარმოება სსკ-ის 260-ე მუხლს უკავშირდება. ზოგადი სტატისტიკა კი, აღნიშნულ საქმეებში გამოყენებულ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებთან დაკავშირებით, შემდეგნაირად გამოიყურება[21]:

[20] პროფ. დოქტ. ჰანს-იორგ ალბრეხტი, შეხედულება - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N 1/1/548 გადაწყვეტილებაზე.

[21] მონაცემები ემყარება საქართველოს საერთო სასამართლოებიდან მიღებულ განაჩენებს.



შესწავლილი საქმეების 100%-ზე სასამართლოს მიერ, გამამტყუნებელი განაჩენია გამოტანილი. განაჩენების შესწავლამ, ასევე, აჩვენა, რომ საქმეების 96.9 %-ში ბრალდებული ბრალს აღიარებს, რაც სასამართლოს მიერ სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებადაა მიჩნეული.

პირველ ინსტანციაში გამოტანილი განაჩენების 87.5% ეყრდნობა ბრალდებულსა და პროკურორს შორის წინასწარ გაფორმებულ საპროცესო შეთანხმებას, რომლის 100 %-ში ბრალდებული ბრალს სრულად აღიარებს.

შესწავლილი განაჩენების თანახმად, საკვლევ პერიოდში გასამართლებული ქალების უმრავლესობა, კერძდ - 81% საქართველოს მოქალაქეა. დეტალურად, მსჯავრდებულთა მოქალაქეობა რაოდენობრივად ნაჩვენებია დიაგრამზე:



ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, 2017 წლის 1 აგვისტოდან - 2018 წლის 1 თებერვლამდე პერიოდში, ქალთა მიერ ჩადენილი ნარკოტიკული დანაშაულების რეგიონალური სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



მტკიცებულებათა სტანდარტი

მოცემული კვლევის ფარგლებში შესწავლილ საქმეთა უმრავლესობაში, კერძოდ კი 87,5% -ში სასამართლოს მიერ, დამტკიცდა ზემდგომი პროკურორის თანხმობით, პროკურორსა და ბრალდებულს შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმება. არცერთ აღნიშნულ შემთხვევაში, ბრალდებულს თავი არ უცვნია უდანაშაულოდ და ე.წ. *nolo contendere*-ს პრინციპით მხოლოდ წაყენებული ბრალდებების სადავოდ არ გახდომა არ გამხდარა საპროცესო შეთანხმების საფუძველი; ყველა შემთხვევაში ბრალდებულმა აღიარა ბრალი და თავი სცნო დამნაშავედ. აქედან გამომდინარე, ყველა ამ საქმეში, სასამართლომ განაჩენი გამოიტანა სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“. კვლევის ფარგლებში შესწავლილ საქმეთა უმრავლესობაში არსებული საპროცესო შეთანხმებიდან გამომდინარე, როგორც აღვნიშნეთ, სასამართლო გადაწყვეტილებები საქმის

არსებითი განხილვის გარეშე იქნა გამოტანილი, რაც მტკიცებულებათა ერთობლიობის ანალიზის თვალსაზრისით არ იძლევა განსაკუთრებულ შესაძლებლობებს. ამის მიუხედავად, გადაწყვეტილებების უმრავლესობაში სხვადასხვა ფორმით არის მითითებული საქმეზე არსებული მტკიცებულებების შესახებ, რაც მოსამართლეთათვის საკმარისი აღმოჩნდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დასაკმაყოფილებლად.

ჩხრეკის სტანდარტი

შესწავლილი გადაწყვეტილებების ანალიზით, ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით არსებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ბრალდებულის ჩხრეკის საპროცესო მოქმედება წარმოადგენს. როგორც ირკვევა, ჩხრეკაში მონაწილეობას, უმრავლეს შემთხვევაში, მხოლოდ პოლიციის თანამშრომლები იღებენ. თავის მხრივ, ჩხრეკა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და ინდივიდის უფლებებთან მტკივნეულად დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება, მისი ჩატარებისას, საჭიროებს განსაკუთრებულ სიფაქიზეს და საკანონმდებლო დანაწესის ზედმიწევნით ზუსტ შესრულებას. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ხარვეზები და ამ მხრივ არსებული პრაქტიკა. როგორც პრაქტიკის ანალიზი გვაჩვენებს, ჩხრეკის კანონიერებისთვის საკმარისია მხოლოდ პოლიციის პატაკი. თავის მხრივ, პატაკი წარმოადგენს პოლიციის თანამშრომლის წერილობით შეტყობინებას მის მიერ ოპერატიული ინფორმაციის ფლობის შესახებ, რომელიც დამოუკიდებლად „დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობა საკმარისად მიიჩნებს ჩხრეკის მიმდინარეობისას, საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი პოლიციელის დასწრებას, რაც დაცვის მხარის მიერ დარღვევის დასაბუთებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის. აღნიშნული გარემოება ზრდის პოლიციის თვითნებობისა და არამართლზომიერი მოქმედებების განხორციელების რისკებს. საკვლევ მასალაზე დაყრდნობით, ერთ-ერთ საქმეში, მსჯავრდებული ქალი აპელირებს პოლიციელთა მხრიდან მუქარასა და ზეწოლაზე, სასამართლოში ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები კი აღნიშნული ფაქტების რეალურად არსებობის შესახებ ეჭვს ვერ აქარწყლებს, რამდენადაც საგამოძიებო მოქმედებები სწორედ იმ პოლიციელების მიერ არის განხორციელებული, რომლებიც ბრალდებულის ბრალდების ობიექტები არიან.

ამ კონტექსტში, საგულისხმოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვაც, რომელიც პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას მუდმივად ამახვილებს ყურადღებას, იყო თუ არა ჩხრეკის ჩატარება

გამოყენებული, როგორც უკიდურესი ღონისძიება, პროპორციული და საფუძვლიანი. საქმეში Keegan v United Kingdom [22], ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა ეროვნული სასამართლოს მიერ ნებადართული ჩხრეკის ჩატარების თაობაზე. კერძოდ, განიხილა ის გარემოება, თუ რამდენად ედო მას საფუძვლად ჩხრეკის ჩატარების აუცილებლობის „ნამდვილი რწმენა". მიუხედავად პოლიციის ხელთ არსებული, არაერთი ინფორმაციისა და ფაქტისა, ევროპულმა სასამართლომ განმარტა: „ის ფაქტი, რომ პოლიცია არ მოქმედებს ბოროტი განზრახვით, არ არის გადამწყვეტი მისი ქმედების გასამართლებლად კონვენციის თანახმად, რომელიც მიზნად ისახავს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების პრევენციას ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, ეს წინასწარ განზრახული იყო თუ შემთხვევით გამოწვეული. სასამართლო ვერ დაეთანხმება იმას, რომ ზიანის დასადგენად აუცილებელია ბოროტი განზრახვის არსებობა, იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პოლიციის მიერ დანაშაულის გამოძიების სასიცოცხლო ფუნქცია"[23].

აღნიშნული მსჯელობიდან აშკარაა, თუ რამდენად მაღალ სტანდარტს ადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევისას გამოყენებული ღონისძიებების კანონიერების კუთხით.

სასამართლო კონტროლი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების პროცესში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევის ფარგლებში შესწავლილი 32 საქმიდან 87,5%-ში, ანუ 28 საქმეზე გადაწყვეტილება პროკურორსა და ბრალდებულს შორის საპროცესო შეთანხმებით დასრულდა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2013 წელს შეტანილი ცვლილებების მიზანი იყო აღმოეფხვრა „საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან დაკავშირებით პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება პროკურორის ფართო დისკრეციას ბრალზე და სასჯელზე ბრალდებულთან შეთანხმების პროცესში, ბრალდებულის თანხმობის ნებაყოფლობითობას და პროცესის გამჭვირვალობას სასამართლო კონტროლის განხორციელებას საპროცესო შეთანხმების დამტკიცების პროცესში, საპროცესო შეთანხმების დადებისთვის საჭირო მტკიცებულებით სტანდარტს, დაზარალებულის მონაწილეობას პროცესში და მისი ინტერესების სათანადოდ

[22] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: Keegan v.UnitedKingdom, №28867/03, 18 ივლისი, 2006 წელი.
[23] იხ. Keegan v.United Kingdom, 34.

გათვალისწინებას“[24]. შესაბამისად, კანონმდებლის მიზანია ბრალდებულის უფლებების დაცვა და ამიტომაც საპროცესო შეთანხმების კანონიერებაზე პასუხისმგებელობის ტვირთს სასამართლოს აკისრებს.

შესწავლილი განაჩენებიდან ირკვევა, რომ ყველა გადაწყვეტილებაში, სადაც კი გაფორმებულია საპროცესო შეთანხმება, მოსამართლის მიერ დაცულია ფორმალურ-სამართლებრივი კანონიერება და გადაწყვეტილებებშივე არის აღნიშნული, რომ ბრალდებულებს ყველა საქმეზე განემარტათ საპროცესო შეთანხმების არსი, სამართლებრივი შედეგები. ასევე, მოსამართლე მიუთითებს, რომ დარწმუნდა შეთანხმების ნებაყოფლობითობაში. იგივე ტენდენციაზე მიუთითებს საქართველოს სააპელაციო სასამართლოებიდან გამოთხოვილი ინფორმაციაც, რომლის თანახმადაც, არ გასაჩივრებულა არც ერთი ის გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. ამასთან, მოსამართლემ ზემოაღნიშნულ ყველა საქმეში დააკმაყოფილა საპროცესო შეთანხმების მოთხოვნა და არ გამოუვლენია მისი დადებისათვის დამაბრკოლებელი არც ერთი გარემოება. ამის მიუხედავად, გადაწყვეტილებებში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობის ხარისხი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის ძალიან სუსტი. რიგ შემთხვევებში, მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას ყურადღებას მხოლოდ საქმეში არსებულ აღიარებით ჩვენებაზე ამახვილებს, ხოლო მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს, ზედაპირულად განიხილავს.

არაერთგვაროვანია მოსამართლეთა გადაწყვეტილებები სასჯელის დანიშვნის ნაწილში. ერთ-ერთ საქმეზე, იმავე მოსამართლის მიერ, საპროცესო შეთანხმებიდან გამომდინარე, უფრო მკაცრი სასჯელი ხვდა წილად ნაკლები ოდენობის ნარკოტიკული საშუალების გამო დაკავებულ პიროვნებას, ვიდრე იმავე მუხლისთვის ბრალდებულ სხვა პირს - უფრო მეტი ოდენობისთვის. ეს პრობლება, ძირითადად, ბრალდების მხარის არათანმიმდევრულობით უნდა აიხსნას, რამდენადაც სასჯელის სიმკაცრე არ უნდა იყოს არც სახელმწიფო ბრალდების თვითმიზანი და არც საპროცესო შეთანხმების ვაჭრობის საგანი, არამედ იგი უნდა გამომდინარეობდეს კანონმდებლობით დადგენილი სასჯელის მიზნებიდან. შესაბამისად, ლოგიკური იქნებოდა ერთსა და იმავე დანაშაულზე, თითქმის მსგავსი ოდენობის არსებობისას სახელმწიფოსგან მომდინარეობდეს ერთგვაროვანი დამოკიდებულება. ამგვარი მოთხოვნა მოქალაქეთა კანონის წინაშე თანასწორობის ძირითადი პრინციპიდანაც გამომდინარეობს. პრობლემას კიდევ უფრო ართულებს ის გარემოება, რომ

[24] 24 იხ. განმარტებითი ბარათი - საქართველოს კანონში „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ - საპროცესო შეთანხმება - 19/11/2013 -

კანონში ჯერაც არ არის განსაზღვრული მცირე ოდენობა, მთელ რიგ ნარკოტიკულ საშუალებებზე, რაც მოსამართლის დისკრეციას, სასჯელის დანიშვნის კუთხით, ძალიან აფართოვებს. ეს კი უშუალოდ აისახება მოსამართლეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და სასჯელის ზომაზე, რაც ხშირად არაადეკვატური და არაჰუმანურია.

მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისათვის აუცილებელ გარემოებას არ წარმოადგენს ბრალის აღიარება, შესწავლილი საქმეების ასივე პროცენტში, სადაც სახეზეა საპროცესო შეთანხმება, ბრალდებულები აღიარებენ წაყენებულ ბრალს, რასაც მოსამართლე განიხილავს შემამსუბუქებელ გარემოებად, სასჯელის დანიშვნისას. აღნიშნული გარემოება თავისთავად უნდა შეფასდეს როგორც კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვა. თუმცა, ამავე დროს, საპროცესო შეთანხმების რიცხვიდან გამომდინარე, შესწავლილი საქმეების უმრავლესობაში, გადაწყვეტილება არსებითი განხილვის გარეშე არის მიღებული, რაც სასამართლო გადაწყვეტილებების სრულყოფილად შესწავლისთვის ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. ბრალდებულთა მიერ საპროცესო შეთანხმების დადების მაღალი მაჩვენებელი შესაძლოა, უკავშირდებოდეს სასამართლოს მიერ პრაქტიკაში მტკიცების დაბალი სტანდარტის გამოყენებას. ამ მოსაზრებას ის ფაქტობრივი გარემოებაც ამყარებს, რომ შესწავლილი საქმეებიდან არც ერთი არ დასრულებულა გამამართლებელი განაჩენით.

სასამართლო კონტროლი ოპერატიული ინფორმაციის წყაროსთან დაკავშირებით

კვლევის ფარგლებში შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოძიების დაწყება ორი ძირითადი საფუძვლით ხდება: საზღვრის კვეთის დროს, საბაჟო გამშვებ პუნქტზე განხორციელებული სავიზო-საპასპორტო კონტროლისა (კონტროლის გავლისას) და ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე.

ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის არსებობისას, ძირითად შემთხვევებში, მტკიცებულებათა შესწავლისას სასამართლო ერთ-ერთ მტკიცებულებად განიხილავს პოლიციელ(ებ)ის გამოკითხვის ოქმს ან ჩვენებას. საქმეებში, რომლებზეც განაჩენი არსებითი განხილვის გარეშეა მიღებული, გვხდება მხოლოდ მითითება ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ იმ მტკიცებულებებზე, რომელსაც მოსამართლე დაეყრდნო საქმეზე განაჩენის გამოტანისას, ხოლო დაცვის მხარე აღნიშნულს სადავოდ არ ხდის. ერთადერთი საქმე, სადაც ბრალდებული არ აღიარებს დანაშაულს და, რომელშიც მოსამართლე საქმეს არსებითად განიხილავს, მოწმედ დაკითხული პოლიციელი განმარტავს, რომ მას მიაწოდეს ოპერატიული

ინფორმაცია, რაც პატაკით აცნობა ხელმძღვანელობას, რის შემდეგაც დააკავეს ბრალდებული. საქმის შესწავლისას კი ირკვევა, ბრალდებულის დაკავება მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მიღების მომენტში მოხდა, ანუ ოპერატიული ინფორმაცია წინ უსწრებდა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის მომენტს. ამავე საქმეში, დაცვის მხარე საქმის პოზიციას სწორედ იმ გარემოებაზე აგებს, რომ ბრალდებულმა არ იცოდა, თუ რა იდო მის მიერ მიღებულ ამანათში, ხოლო პოლიციელთა მტკიცებით, ნარკოტიკული საშუალება ბრალდებულის ჩანთიდანაა ამოღებული. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად კი სასამართლო ეყრდნობა ჩხრეკა-ამოღების ჩამტარებელი პოლიციელების მოწმედ დაკითხვის ოქმს. სასამართლოს მხრიდან, არც ერთ შემთხვევაში არ შემოწმებულა ოპერატიული ინფორმაციის წყაროს ნამდვილობის ან/და სანდოობის საკითხი. ერთ-ერთ საქმეში[25] საუბარია, ბრალდებულის მიერ პოლიციელების მხრიდან განხორციელებულ ზეწოლასა და მათ დაინტერესებაზე საქმის მიმართ, რაც გულისხმობს პირადი/არაკანონიერი/სუბიექტური ინტერესის არსებობას, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს, როგორც ცალკეული პოლიციელისაგან, ასევე სისტემიდან. იმ პირობებში კი, როდესაც თავად კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასამართლო ან საპროკურორო ზედამხედველობას ოპერატიული ინფორმაციის წყაროსთან დაკავშირებით, მოსამართლე საერთოდ არ ამახვილებს ყურადღებას ამ საკითხზე. სურათი არსებითად იდენტურია ყველა სხვა საქმეშიც, სადაც საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები ასევე მოიცავს პოლიციელების პატაკს ოპერატიული ინფორმაციის შესახებ.

სასამართლო სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებული ხარვეზები

დანაშაულის სტატისტიკის სრულყოფილი და სანდო სისტემა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მართლმსაჯულების სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასების, არსებული ტენდენციებისა თუ მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობის განსაზღვრისთვის, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შემადგენელი ნაწილია. საზოგადოებას უფლება აქვს, ჰქონდეს დანაშაულის ვალიდური სტატისტიკა, მათ შორის, პოლიციის, პროკურატურის, ციხეებისა თუ სასამართლო სტატისტიკა, პრობაციის სტატისტიკა. ასევე, საჭიროა ლატენტური დანაშაულების კვლევა, საერთო სურათის დასანახად, რაც განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით.

25. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე #1/3193-17

კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა სასამართლო გადაწყვეტილებების სტატისტიკური ანალიზის წარმოების პრობლემები. უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილი ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია არ ემთხვევა ქალ ბრალდებულებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე, საქალაქო და რაიონული სასამართლოებიდან გამოთხოვილ სტატისტიკას. გარდა მონაცემთა უზუსტობისა, ცალკეულ შემთხვევებში, სხვადასხვა საქალაქო სასამართლოდან მიღებული გადაწყვეტილებები არსებითად შეუსაბამო აღმოჩნდა ჩვენ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციასთან. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია უკავშირდებოდა გარკვეული დროის მონაკვეთში ნარკოდანაშაულში ბრალდებულ ქალებს, სასამართლოდან მივიღეთ რამდენიმე გადაწყვეტილება, რომელშიც მხოლოდ მამაკაცები ფიგურირებენ.

საქართველოში, სისხლის სამართლის სტატისტიკის აღრიცხვა კვლავ გამოწვევად რჩება; სხვადასხვა უწყების მიერ ნაწარმოები სტატისტიკური მონაცემები, ხშირად ურთიერთშეუსაბამოა და ამასთან ყურადღების გარეშე რჩება ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემების აღრიცხვა, როგორიცაა, მაგალითად, გენდერული დიფერენციაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში არ არის დადგენილი ერთიანი სტანდარტები სისხლის სამართლის სტატისტიკის წარმოებაზე, ძირითადი მახასიათებლები, რითაც წარმოებს სასამართლო სტატისტიკა ამ ქვეყნებში, არის მნიშვნელოვანი გარანტი ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაზრისით. ამდენად, აუცილებელია, რომ სასამართლო სტატისტიკის წარმოება დაიხვეწოს და მოიცავდეს მათ შორის ისეთ ინფორმაციას, როგორიცაა: სასამართლოს გადაწყვეტილებების ასაკობრივი, გენდერული და რეგიონალური დიფერენციაცია, დანაშაულთა სახეების მიხედვით; საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული და მისი შემდგომი სადავოობის სტატისტიკა; სასჯელის ფორმების გამოყენების სტატისტიკა, გენდერულ, ასაკობრივ და მოქალაქეობრივ ჭრილში, სხვადასხვა დანაშაულის მიმართ.

ასევე მნიშვნელოვანია, სასამართლო სისტემაში არსებობდეს ერთიანი მიდგომა პერსონალური მონაცემების დაშტრიხვასთან დაკავშირებით. კვლევის ფარგლებში შესწავლილმა გადაწყვეტილებებმა, რომელიც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული სასამართლოებიდან იქნა მიღებული, ცხადყო განსხვავებული მიდგომების არსებობა სხვადასხვა სასამართლოში. ზოგ შემთხვევაში კი, ინფორმაცია დაფარულია იმგვარად, რომ კვლევის მიზნებისთვის შეუძლებელია არაპერსონალური ინფორმაციის დამუშავებაც კი.

სასჯელის შეფარდება, სახეები და რეაბილიტაციის პრობლემა

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების, შეძენა-შენახვისა და რეალიზაციის გამო, მკურნალობა-რეაბილიტაციის პრინციპი აქტიურად გამოიყენება, სასჯელის დაკისრების ნაცვლად. ასეთი მიდგომის შედეგები რეალურად შეიძლება აისახოს ნარკოდანაშაულის სტატისტიკაზე, რამდენადაც, სასჯელის მოხდა არ არის განკურნების წინაპირობა, ყოფილი მსჯავრდებულების ციხიდან გამოსვლა ვერ ამცირებს ნარკოდამოკიდებულთა რიცხვს და სასჯელის მიზნებიც განუხორციელებელი რჩება. ევროკავშირის ქვეყნების მიდგომას მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაც, რომლის 1988 წლის კონვენცია „ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის შესახებ“ და 1998 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო სხდომაზე მიღებული დეკლარაცია: ნარკოტიკებზე მოთხოვნილების შემცირების ძირითადი პრინციპების შესახებ“, მხარს უჭერს, სამართალდამრღვევების მიმართ გამოყენებული იყოს ისეთი ზომები, როგორიცაა: მკურნალობა, ინფორმირება, აღმზრდელობისთ-გამოსასწორებელი საქმიანობა, რეაბილიტაცია ან საზოგადოებასთან ხელახალი ინტეგრირება[26].

საქართველოში არსებული ნარკოპოლიტიკა უსამართლოდ მკაცრი და არაჰუმანურია, რასაც თან ერთვის, მთელ რიგ ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით, მცირე ოდენობის არარსებობა საკანონმდებლო დონეზე. აღნიშნული ნარკოპოლიტიკის გამოძახილია ქართული სასამართლო პრაქტიკაც, რაც ნარკოდანაშაულების მიმართ, სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ხისტი სასჯელებით ხასიათდება.

შესწავლილი განაჩენებიდან საინტერესოა შემთხვევა, როცა ერთი და იმავე მოსამართლის მიერ ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას, სასჯელის დანიშვნა არსებითად განსხვავებულად მოხდა. ორივე საქმეში იდენტური სახეობის ნარკოტიკული საშუალება ფიგურირებდა. ბრალდებულს, რომელიც უფრო მცირე ოდენობის შეძენა-შენახვისათვის იყო დაკავებული, უფრო დიდი სასჯელის ზომა განესაზღვრა, ვიდრე იმავე მუხლის, იმავე ნაწილით გასამართლებულ მეორე ბრალდებულს, რომელსაც უფრო მეტი ოდენობის, იმავე სახეობის ნარკოტიკის შეძენა-შენახვა ედებოდა ბრალად.

მდგომარეობა ამ კუთხით კიდევ უფრო რთულია, როცა საქმე სხვადასხვა მოსამართლის მიერ გამოტანილ განაჩენებს ეხება. ერთგვაროვანი პრაქტიკის არარსებობა კიდევ უფრო უსამართლოს ხდის ისედაც არაჰუმანურ სასჯელის ზომებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილი გადაწყვეტილებები,

[26] _ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის შესახებ, გაეროს 1988 წლის კონვენცია, 3.4-ე მუხლი.

ძირითადად, საპროცესო შეთანხმებებს ეფუძნება და შესაბამისად, სასჯელის ზომაზე მოლაპარაკებაც პროკურორსა და ბრალდებულს შორის შეთანხმების ნაწილად განიხილება, მაგრამ, ამის მიუხედავად, მოსამართლეს კანონმდებლობა ავალდებულებს, შეამოწმოს ბრალდების დასაბუთებულობა, მოთხოვნილი სასჯელის კანონიერება. მას აქვს უფლება, შესთავაზოს მხარეებს, შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები. მიუხედავად იმისა, რომ შესწავლილი განაჩენების 87.5%-ზე სწორედ საპროცესო შეთანხმება გაფორმდა, მოსამართლეს არც ერთ შემთხვევაში არ გამოუყენებია კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული ეს უფლება.

რაც შეეხება გამოყენებულ სასჯელის სახეებს, შესწავლილი განაჩენებიდან ჩანს, რომ ქალ მსჯავრდებულებთან მიმართებით პატიმრობის ალტერნატიული სახეების გამოყენება საკმაოდ აქტიურად ხდება, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. მხოლოდ პატიმრობა, შესწავლილი გადაწყვეტილებების 12.5%-ში იქნა სასჯელის სახით გამოყენებული. თუმცა, საერთო ჯამში, პატიმრობა და მასთან ერთად დანიშნული ალტერნატიული სასჯელის გამოყენება, განააჩენების 55%-ში გვხვდება. მხოლოდ ერთ განაჩენში გვხვდება სასჯელის სახედ პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან ერთად დანიშნული გამოსასწორებელი შრომა. ქალ ბრალდებულებთან მიმართებით, აღკვეთის ღონისძიებების სახეებად ძირითადად გამოიყენება პატიმრობა, პირობით გამოსაცდელი ვადა და ჯარიმა.

ასევე, უნდა აღინიშნოს ერთი გადაწყვეტილება, სადაც ბრალდებულმა მის მიმართ წარდგენილი ბრალი აღიარა, სასამართლომ სასჯელის დაუნიშნავად გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი[27]. აღნიშნული საქმე ეხებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ ქმედებას, რაც გულისხმობს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვას, მოყვანას. მოსამართლე, სასჯელის გამოყენების დასაბუთებისას, აპელირებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე[28], რომლითაც სსკ 265-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილთან მიმართებაში.

სასამართლო სხდომათა მონიტორინგის შედეგები

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების მიერ, განხორციელებული სასამართლო მონიტორინგი მოიცავს სამ არსებით

[27] სისხლის სამართლის საქმე N090210915003

[28] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, 2017 წლის 14 ივლისის N1/9/701,722,725 გადაწყვეტილება

და ერთ წინასასამართლო სხდომას. მონიტორინგი ადასტურებს, რომ პროცესის მიმდინარეობა სასამართლო გადაწყვეტილებებში ასახული ინფორმაციის იდენტურია და შესაბამისად, ყველა ის ხარვეზი, რაც იდენტიფიცირებული იყო სასამართლო გადაწყვეტილებების კვლევისას, პროცესის უშუალო მიმდინარეობის დროსაც ვლინდება. გარდა ამისა, მონიტორინგი ცხადყოფს, რომ მოსამართლეების მიერ წინასასამართლო სხდომაზე აღკვეთის ღონისძიებაზე მსჯელობისას დასაბუთებულობის სტანდარტი არადამაკმაყოფილებელია და შემოიფარგლება ზოგადი ვარაუდით, რომელიც დანაშაულის ხასიათისა და პირის ნასამართლეობის სტატუსით მყარდება.

ამასთან, მტკიცებულებათა ერთობლიობის ნაწილში, მიუხედავად დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებების სადავოდ გახდომისა და ბრალდებულთა მიერ, პოლიციელთა მხრიდან ძალადობაზე აპელირებისა, მოსამართლე გამორიცხავს საქმის წარმოების რომელიმე ეტაპზე პოლიციელთა დაინტერესებასა და მათი მხრიდან რაიმე სახის უკანონო მოქმედებების განხორციელებას, რასაც, თავის მხრივ, ის ფაქტიც უწყობს ხელს, რომ პირვანდელი აღიარებითი ჩვენება, პოლიციელთა მიერ მიღებულია მე-3 პირის დასწრების გარეშე, რაც მის სადავოდ გახდომას, იმთავითვე უპერსპექტივოს ხდის.



მონიტორთა დაკვირვებით, არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა ქალთა მიმართ დისკრიმინაციული ან განსაკუთრებით სტერეოტიპული დამოკიდებულება სხდომის მონაწილეთა მხრიდან, რაც ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს. ამავე დროს, მონიტორინგისას სასამართლოს მხრიდანარც

ერთ შემთხვევაში არ ყოფილა გამოყენებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ან სხვა საერთაშორისო პრაქტიკა.

მონიტორინგის შედეგების ზოგადი ანალიზი

ნარკოტიკულ დანაშაულებში ბრალდებული ქალების მიმართ 2017 წლის 1 აგვისტოდან 2018 წლის 1 თებერვლის ჩათვლით გამოტანილი სასამართლო განაჩენების ანალიზმა აჩვენა, რომ ქალ ბრალდებულებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებისას, ძირითადად, გამოიყენება საპროცესო შეთანხმება, სადაც სასამართლოს მონაწილეობა ნომინალურია. მოსამართლეები შინაარსობრივად არ სწავლობენ საპროცესო შეთანხმების პირობებს და არ არსებობს ერთგვაროვანი პრაქტიკა ნარკოდანაშაულებზე გადაწყვეტილების გამოტანისა და სასჯელის დანიშვნის დროს.

ნარკოდანაშაულებზე გამოტანილ განაჩენებში არსებული მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელსაც სასამართლო ეყრდნობა გადაწყვეტილების მიღებისას, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკმარისად გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დასაკმაყოფილებლად. სასამართლოს მიერ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისას უნდა იქნეს გამოკვლეული მტკიცებულებათა ერთობლიობის ვალიდურობა, საპროცესო შეთანხმებისგან დამოუკიდებლად.

პრობლემურია სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განხორციელებული ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებებზე სასამართლოს მიერ განხორციელებული კონტროლის ხარისხი. გადაწყვეტილებებიდან არ იკვეთება და არცაა მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით განხორციელდა ზემოაღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სამართალადამცავმა ორგანოებმა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა ჩაატარონ აღნიშნული ღონისძიება, სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე, მოსამართლემ კი, მხოლოდ საფუძვლიანი შემოწმების შემდეგ უნდა დააკანონოს უკვე ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების ღონისძიებები. რამდენიმე საქმეში, მტკიცებულებათა ერთობლიობა მოიცავს ჩხრეკის კანონიერად მიჩნევასთან დაკავშირებულ განჩინებას, მაგრამ დასაბუთება არც ერთ შემთხვევაში არ არის და ძირითად საფუძვლად პოლიციელისთვის მიწოდებული ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაცია გამოიყენება. ეს კი, ცხადია, პოლიციელთა თვითნებობის რისკს სრულად ვერ გამორიცხავს. ასევე, დაუძლეველ პრობლემად რჩება ოპერატიული ინფორმაციის წყაროს სანდოობისა და რეალურობის შემოწმება

სასამართლოს მიერ, რაც რიგ შემთხვევებში, ასევე ბუნდოვანს ხდის სამართალდამცავთა მოქმედების კანონიერებას.

შესწავლილი განაჩენების უმრავლესობაში გამოყენებული სასჯელის ზომები ნათლად მიუთითებს ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკის არაჰუმანურობასა და უსამართლობაზე. ასევე, გადაუჭრელ პრობლემად რჩება მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის მიმართულებით მუშაობა და ნარკოტიკულ დანაშაულებთან ბრძოლის მეთოდები.

რეკომენდაციები

კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებული საკანონმდებლო ხარვეზებისა და სასამართლო პრაქტიკაში არსებული პრობლემების გამოსასწორებლად, აუცილებელია, მუშაობა შემდეგი მიმართულებით:

- სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული საგამოძიებო მოქმედება - ჩხრეკა, უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და სახელმძღვანელო პრინციპებით დადგენილ სტანდარტებს;
- ჩხრეკის განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს სანდო საფუძველს და პოლიციის მიერ მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი შესაძლო შეცდომის დაშვების რისკები;
- ჩხრეკა უნდა იქნას გამოყენებული როგორც გარდაუვალი და უკიდურესი ღონისძიება, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით, კანონის ზედმიწევნით დაცვით.
- სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან გამომდინარე, ბრალდებულთა უფლებების დაცვისა და სამართალდამცავ უწყებათა საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, სასურველია, შეიქმნას საპროკურორო ან სასამართლო ზედამხედველობის მექანიზმი - ოპერატიული ინფორმაციის წყაროს რეალურობისა და თავად ფაქტის ნამდვილობის შესამოწმებლად.
- სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის რეალიზებისათვის, აუცილებელია, დაიხვეწოს სასამართლო სტატისტიკის წარმოება და აღნიშნული, სხვადასხვა სახის ინფორმაციასთან ერთად, ახდენდეს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეგიონალურ, ასაკობრივ და გენდერულ დიფერენციაციას.
- აუცილებელია ნარკოპოლიტიკის ზოგადი ლიბერალიზაცია, რაც უნდა აისახოს სასჯელის სახეებისა და ზომების გამოყენების პროპორციულობასა და სამართლიანობაში, სასამართლოს მიერ.

- კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, ნარკოდანაშაულებთან დაკავშირებით გამოყენებულ სასჯელის სახეებსა და ზომებზე, საჭიროა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრება.
- აუცილებელია, გაიზარდოს სასამართლო კონტროლი, საპროცესო შეთანხმების ზედამხედველობის კუთხით, არა მხოლოდ ფორმალურ-სამართლებრივი, არამედ შეთანხმების შინაარსთან მიმართებაშიც, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულის უფლებების შესაძლო შელახვა.

დანართი

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ სასამართლო მინიტორინგის მიმდინარეობისას გამოვლენილი პრობლემების შესახებ მომზადებული სტატიები:

1. ძალადობის მსხვერპლი ქალები პოლიციას არ ენდობიან
   http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19534&lang=geo
2. რატომ ამბობენ უარს ძალადობის მსხვერპლი ქალები პროკურატურაში ჩვენების მიცემაზე
   http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19547&lang=geo
3. შსს-ს ახალი დეპარტამენტის დირექტორი საზოგადოებას დუმილის დარღვევისკენ მოუწოდებს
   http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19564&lang=geo
4. საქართველოში არსებული ნარკოპოლიტიკა უსამართლოდ მკაცრი და არაჰუმანურია
   http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19580&lang=geo
5. შეწყალების მექანიზმის გასაუმჯობესებლად კონსულტაციები მიმდინარეობს -
   http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19577&lang=geo